



ისტორიის სწავლების საკითხები, რიდერი ისტორიის პედაგოგებისთვის

გამოცემის შემდგენელი: ნანა ციხისტავი,
ისტორიის დოქტორი, ისტორიის მასწავლებელთა
საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი

Supported by



Federal Republic of Germany
Foreign Office



CIVIL
SOCIETY
COOPERATION

სარჩევი

ინოვაციური ისტორიული განათლება ყველასთვის.....	3
დიფერენცირებული სწავლება ისტორიის გაკვეთილზე	6
როგორ განვახორციელოთ საინტერესო	12
პროექტი სკოლისთვის?.....	12
ისტორიული კვლევა (I ეტაპი).....	18
ისტორიის კვლევის მნიშვნელობა გაკვეთილებზე; ისტორიული კვლევის პროცესი - წყაროების მოძიება	22
კითხვის დასმის სტრატეგიები.....	26
სტატისტიკა და ისტორია; ისტორიული მოვლენის ანალიზი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით	29
ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი.....	30
ვიზუალური წყაროს ანალიზი	36
ისტორიული ესეს ორგანიზების ცხრილი.....	41

ინოვაციური ისტორიული განათლება ყველასთვის

ინოვაციური ისტორიული განათლება ყველასთვის (Innovating History Education for All – IHEA) ევროკლიოს ისტორიული განათლების ევროპული ასოციაციის პროექტია, რომლის განხორციელებაც 2015 წელს დაიწყო და რომელშიც ჩართული არიან ისტორიული განათლების სპეციალისტები. პროექტის მიზანია ციფრული სწავლების მეთოდების დანერგვა სკოლებსა და ლოკალურ გარემოში, მოსწავლეთა დახმარება იმ უნარ-ჩვევების შექმნაში, რომლებიც ისტორიის სწავლა-სწავლებისთვის არის მნიშვნელოვანი. პროექტი ითვალისწინებს ისტორიის გაკვეთილებსა თუ ტრენინგებზე ციფრული ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას. მის ავტორებს განზრახული აქვთ ისეთი სასწავლო რესურსების შექმნა, რომლებიც პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროექტის სამიზნე ჯგუფი შერჩეულია არა იმის მიხედვით, რამდენად კარგად ფლობენ ტექნოლოგიებს, არამედ იმით, თუ რამდენად მაღალია მათი მოტივაცია, ისწავლონ და ცოდნა სხვებსაც გაუზიარონ. ავტორთა ჩანაფიქრის თანახმად, პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს ევროპაში ისტორიის სწავლა-სწავლების დონის ამაღლებას, სამოქალაქო ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარებას, ციფრული რესურსებისა და კვლევის საჭროებებიდან გამომდინარე, პრაქტიკის დანერგვას.

პროექტი მიმდინარეობს ევროკლიოს ეგიდით. მისი თანაპარტნიორები არიან გერმანიის, ნიდერლანდების, პოლონეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ხოლო, კოორდინატორები - ევროკლიოს წარმომადგენლები, ჯუდიტ გირლინგი და სტივენ სტიგერსი. ძირითადი სამიზნე ჯგუფის წევრები არიან მილენკო რადანოვიჩი (ხორვატია), ნათია ფირცხალავა (საქართველო), პასკალ ტასკი (ნიდერლანდები), რიჩარდ კენეტი (დიდი ბრიტანეთი), სუსანა მარგარეტ გესტსდოტირი (ისლანდია) და ჯგუფის კოორდინატორი, ჰელენ სნელსონი.

გვსურს, გაგიზიაროთ ისტორიის გაკვეთილებისთვის გამოსადეგი ერთ-ერთი ელექტრონულ-ციფრული საშუალება - Google Apps Forms. მისი გამოყენება მხოლოდ მეორე სემესტრიდან დავიწყეთ და წარმატებით ვიყენებთ. რაც მთავარია, ამკარაა, რომ მოსწავლეები უფრო მოტივირებული არიან და მეტი მონდომებითაც მუშაობენ.

Google Apps Forms-ის შესაქმნელად უნდა გავხსნათ ელექტრონული ფოსტა Google Apps-ში, სადაც საკმაოდ ბევრი ნიმუშია მოცემული. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ იმ აქტივობაზე, რომელზეც ამჟამად ვმუშაობთ ტრენინგებსა თუ გაკვეთილებზე.

Google Apps forms ეფექტურია რამდენიმე თვალსაზრისით:

- მოხერხებულია მოსწავლეთა ნამუშევრებისა თუ პასუხების კოლექციონირებისთვის;
- შესაძლებელია მისი ყოველდღიური გამოყენება;
- მოხერხებულია შეფასებისა თუ თვითშეფასებისთვის;
- შესაძლებელია მისი გამოყენება პროექტებზე მუშაობისას პროცესის ყოველდღიური კოორდინაციისა და მონიტორინგისთვის;
- საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ სხვადასხვა ტიპის (ვიზუალური თუ წერილობითი) წყაროს კოლექცია.

პროცედურა მარტივია: მოსწავლეებმა უნდა შექმნან თავიანთი Google Apps forms-ი. მასწავლებელს შეუძლია, დაამატოს მოსწავლეები, კოლეგები, გაუზიაროს მათ ინფორმაცია და ითანამშრომლოს მათთან, ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანთან, ვისაც პროგრამაში დაამატებს.

პროცესი საინტერესოა და ამალღებს მოსწავლეთა მოტივაციას (სამწუხაროდ, მასწავლებლებთან პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს). პროგრამაში გაწევრიანება შეუძლია ყველა მსურველს. წევრთა რაოდენობა ლიმიტირებული არ არის. რაც ყველაზე საინტერესოა, ხდება ფორმებში შეტანილი ცვლილებების ავტომატური დამახსოვრება.

<https://apps.google.com/learning-center/products/forms/get-started/>

ამჯერად, უპირატესობას მივანიჭებ Google Apps Forms-ში პარაგრაფის სტრუქტურის შექმნას მხოლოდ ერთი მიზეზით - ამ ფორმის საშუალებით, შეგვიძლია ვთხოვოთ მოსწავლეებს, გასცენ კითხვებსა თუ დავალებებს არა მოკლე, არამედ, ვრცელი, არგუმენტირებული პასუხი.

მაშ ასე, როგორ ავირჩიოთ პარაგრაფის სტრუქტურული ფორმა Google Apps Forms-ში.

სტრატეგია 1: წყაროების მოძიება

ისტორიული კვლევისთვის, Google Apps Forms-ი ძალიან ეფექტური მეთოდია. მოსწავლეებს ვთხოვე, დაე-დასტურებინათ ჩემ მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება Google Apps Forms-ში გაწევრიანებაზე. მასში მოცემული მქონდა კითხვარი თითოეული წყაროს შესახებ: რომელი და რა ტიპის წყარო უნდა მოეძიათ და რა თემაზე (ყველას ერთი თემა ჰქონდა წინასწარ მიცემული - ის, რომელზეც ვმუშაობდით). როგორც აღვნიშნე, Google Apps Forms-ი იძლევა სხვადასხვა ტიპის: წერილობითი, ვიზუალური და აუდიო წყაროების გამოყენების საშუალებას. ყველა წყაროს უნდა დაერთოს ბიბლიოგრაფია.

ამ ეტაპზე, ვმუშაობთ წყაროების ინდივიდუალურად მოძიების პროცესზე. მომდევნო ეტაპი იქნება კვლევა, სადაც ყოველ მოსწავლეს სხვადასხვა საკვლევი თემა ექნება არჩეული. მოხდება კვლევის პროცესის მონიტორინგი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, თუმცა, უკეთესი იქნება, ამ პროცესს მთელი კლასი (ან სკოლა) ადევნებდეს თავალს (თვალის დევნება შეეძლება ყველას, ვინც გაწევრიანდება პროგრამაში ან ვინც შემქნელისგან მიიღებს გაწევრიანების მოთხოვნას). ინდივიდუალური კვლევის პროცესს მონიტორინგს უწევს მასწავლებელი. მონიტორინგის დროს მასწავლებელი არკვევს, რამდენად ეფექტურია წყაროების მოძიების პროცესი, რამდენად ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევა, რამდენად ვალიდური და რელევანტურია წყაროები და ა. შ.

სტრატეგია 2: წყაროებზე დაფუძნებული დოკუმენტის შექმნა

სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნან დოკუმენტი, რომელშიც შეიტანენ წყაროების ადაპტირებულ ვერსიებს ბიბლიოგრაფიების ჩათვლით, მიუთითებენ წყაროს ტიპს: წერილობითს (პირველადს, მეორეულს), ვიზუალურს (კარიკატურა), ვიდეოს (თუ ვიდეოჩანაწერი ხანგრძლივია, მოსწავლემ უნდა მიუთითოს, რომელ წუთებს მოიცავს მისთვის საინტერესო მონაკვეთი). მნიშვნელოვანია, წყაროები ეხებოდეს მხოლოდ ერთ, კონკრეტულ თემას (მხოლოდ ასეა შესაძლებელი დრმა ანალიზი).

მიზანი:

- მოსწავლეებმა მოძიონ ვალიდური წყაროები;
- მოძიონ თემატურად;
- მოახდინონ სხვადასხვა ტიპის წყაროს კლასიფიცირება;
- გააანალიზონ, რამდენად ვალიდურია წყაროები.
- ამის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა დასვან კითხვები მათ მიერ შექმნილი წყაროებიდან გამომდინარე (Google Apps Forms-ში ამისთვის საკმარისი სივრცეა (ველია)). კითხვები უნდა

მოიცავდეს: გაგებას, გამოყენებას, ანალიზს (შედარებას), სინთეზს (მაგ., მოკლე ესე მოცემული წყაროების გამოყენებით).

თანმდევი კითხვები და დავალებების სტრუქტურა მოსწავლეებმა იციან (ჩვენ როგორც ვმუშაობთ კლასში). შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია, კითხვებისა და დავალებების შექმნის სტრატეგია წინასწარ გაუზიაროს მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს კითხვების დასმის ერთი სტრატეგია, წყაროების რაოდენობა კი - წინასწარ დაგეგმილი. ეს კითხვებია: 1. რა არის დოკუმენტის მთავარი სათქმელი? 2. რა არის კარიკატურის მთავარი გზავნილი/გზავნილები? 3. შეაღარეთ „ა“ და „ბ“ წყაროები ერთმანეთს, გამოყავით მსგავსებები და განსხვავებები. 4. შეაფასეთ წყარო (წარმომავლობა, ავტორის სტატუსი და ვინაობა, მიზანი, ძლიერი მხარეები, ხარვეზები). 5. მოცემული წყაროებისა და ცოდნის გამოყენებით, დაწერეთ მოკლე ესე.

ეს სტრატეგია ახალი არ არის, მაგრამ სიახლე მისი Google Apps Forms-ში გამოყენებაა. ყველა მოსწავლე თავის ფორმას აკეთებს, პარალელურად, ყველა, ვინც გაწევრიანებულია, ხედავს და სურვილისამებრ წერს კომენტარს. მასწავლებელი კი, არა მხოლოდ მონიტორინგს უწევს ამ პროცესს, არამედ, ამოწმებს კიდევ, დააკმაყოფილა თუ არა მოსწავლემ ყველა კრიტერიუმი. მასწავლებლის კომენტარებს ყველა ხედავს.

Google forms-ის გამოყენებას არაერთი დადებითი მხარე აქვს:

- ის უფასოა და მასში გაწევრიანება მარტივია;
- შესაძლებელია მუშაობა ქართული ანბანით;
- ამ ტექნიკის გამოყენება ხელს უწყობს საკლასო ოთახში პროფესიონალური გარემოს შექმნას;
- მასწავლებელს აძლევს გაკვეთილის უკეთ და უფრო ეფექტურად დაგეგმვის საშუალებას;
- მასწავლებელს ეხმარება, მიიღოს კრიტიკული გამოხმაურებები მოსწავლეებისა და კოლეგებისგან;
- პასუხობს თანამედროვე გამოწვევას, ეფექტურად დაინერგოს ციფრული ტექნოლოგია ისტორიის გაკვეთილებზე.

<http://euroclio.eu/projects/innovating-history-education-for-all/>

<http://labs.historiana.eu/author/natia/>

პროექტის შესახებ ინფორმაცია იხ. ზემოთ მოცემულ [ბმულზე](#).

დიფერენცირებული სწავლება ისტორიის გაკვეთილზე

სასწავლო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას წარმოადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარება, რომლის მეთოდური საფუძველია ინდივიდუალიზაცია (სასწავლო პროცესის ორგანიზება) და დიფერენციაცია (გაკვეთილის ჩატარების მეთოდოლოგია). დიფერენცირების პროცესი მოსწავლეთა შემოქმედებითი და ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებისთვის ფართო საშუალებას იძლევა. საამისოდ, მას მრავალი ფორმა, მეთოდი და მიდგომა გააჩნია.

დიფერენცირებული სწავლისას:

- მოსწავლეები უკეთესად ითვისებენ შესასწავლ მასალას;
- იზრდება მოსწავლეთა მზადყოფნა თვითგანათლებისთვის;
- „განვითარების ვექტორი“ იგება მოსწავლისთვის საჭირო ქმედებების განსაზღვრის საფუძველზე.

ზოგადად, დიფერენციაცია არის სწავლის სისტემა, რომლის დროსაც მოსწავლეს, რომელიც განათლების მინიმუმს ფლობს, შეუძლია ინფორმაციის შენახვა ხანგრძლივ მეხსიერებაში და მისი თანამედროვე სამყაროში ადაპტირება.

დიფერენციაციის მიზანია:

- ინდივიდუალური სწავლება და ამისთვის საჭირო ოპტიმალური პირობების შექმნა, თითოეული აღამიანის ინტერესებისა და შესაძლებლობების განვითარება;
- მიზანმიმართული ზემოქმედება საზოგადოების შემოქმედებით, ინტელექტუალურსა და პროფესიონალურ პოტენციალზე.

დიფერენციაციას აქვს სხვადასხვა სახე:

- სასწავლო მასალისა და მისი ათვისების ტემპების თავისუფლად და სწორად არჩევა; სწორი თვითშეფასება;
- სასწავლო მასალის გაფართოება საგანთშორისი კავშირების დამყარებისთვისა და ცოდნის გაღრმავებისთვის.

დიფერენციაციის ტიპებია:

- გარეგანი - იგი უზრუნველყოფს გარკვეული ნიშნების მიხედვით სტაბილური, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის (პროფესიული, ინტერესების, შესაძლებლობების მიხედვით) ჯგუფის შექმნას;
- შინაგანი - მისი დანიშნულებაა სასწავლო პროცესის ორგანიზება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები.

დიფერენციაციის დროს განმავითარებელი სწავლის შედეგები მიიღწევა პედაგოგიური ტექნოლოგიების ხარჯზე. შესაბამისად, გამოყოფენ დიფერენციაციის სახეებს:

- ზოგადი შესაძლებლობების მიხედვით (სწავლის საერთო დონის, ასევე, მოსწავლეთა ფსიქიკური განვითარების ცალკეული თავისებურებების მიხედვით, როგორცაა მეხსიერება, აზროვნება, შემეცნებითი საქმიანობა);
- შესაძლებლობების მიხედვით (შესაძლებლობების სხვადასხვა დონე ამა თუ იმ საგანში);
- უუნარობის მიხედვით (ესენი არიან ის ბავშვები, რომლებიც სწავლობენ კორექციის ჯგუფებში);
- არჩეული პროფესიების მიხედვით;
- ინტერესების გათვალისწინებით.

დიფერენციაციის სხვადასხვა სახის გამოყენებისას შედეგებიც განსხვავებულია, რადგან ამ დროს სხვადასხვა პროცესს აქვს ადგილი. მათ შორის გვხვდება:

- სწავლის სიმძიმის ცენტრის გადატანა სწავლებაზე, ინფორმაციის დამოუკიდებლად გადა-
მუშავებასა და მასალის ათვისებაზე;
- მასწავლებლის ზუსტი ორიენტირება მასალის შინაარსის შერჩევაზე;
- ჯგუფის დაყოფა მიკროჯგუფებად (ობიექტურად), როდესაც მოსწავლეს თავად შეუძლია
აირჩიოს მიზნის ის დონე, რომელიც შეესაბამება მის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილე-
ბებს;
- კლასში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის გამეფებული ურთიერთნდობა. მოსწავლე-
ებს უყვართ ჯგუფებში მუშაობა, სადაც მიმდინარეობს ისეთი თვისებების ფორმირება, რო-
გორიცაა მოთმინება, ჯგუფურობა, მხარდაჭერა, კომუნიკაბელურობა;
- დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს ცნება „სასწავლო“,
რომელიც მრავალმნიშვნელოვანია თავისი დანიშნულებით;
- სწავლის შინაარსის გაზრდა, რომელიც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეკონომიურად
(ძალისა და დროის დაკარგვის გარეშე) შევიძინოთ საგანმანათლებლო და აღმზრდელობი-
თი უნარების ფასეულობები;
- და, რა თქმა უნდა, პროცესი „სწავლა“, როგორც ადამიანის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების
შეძენის სიჩქარის ინდივიდუალური მაჩვენებელი.

ზოგადად, დასწავლის ხარისხის მიხედვით მოსწავლეები შეიძლება დაყვით სამ დონედ:

- სუსტები;
- კარგები;
- ძლიერები.

აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით, ადვილად, წარმატებულად შეგვიძლია ჩავატაროთ
გაკვეთილი ისტორიაში ანუ სასწავლო მასალის შინაარსი ისე შევუსაბამოთ მოსწავლეთა ცოდნის
დონეს, რომ გავითვალისწინოთ მათი გამოცდილება, მოთხოვნილებები და ინტერესები.

კონკრეტულად, რაში გამოიხატება მოსწავლეთა დონეებად დაყოფა, რა ნიშნით განიყოფიან ისინი?

- **სუსტები ანუ არასაკმარისად მომზადებული მოსწავლეები** არიან ისინი, რომლებიც ის-
ტორიის ზედაპირული გაცნობისას არ ავლენენ შესამჩნევ ინტერესს საგნის შესწავლისთვის
და თითქმის არ ფლობენ ისტორიულ მასალასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს; არ შეუძლიათ
დამოუკიდებლად გაანალიზონ და ერთმანეთს შეადარონ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი
ფაქტები.

მოვიყვანოთ „სუსტი მოსწავლის“ მახასიათებლები:

- ისტორია, VII კლასი, თემა: „ხელოსნობა შუა საუკუნეებში“: სუსტ მოსწავლეებს შეუძ-
ლიათ ახსნან ცნებები: ხელოსანი, სახელოსნო, მოსწავლე, საამქრო, გერბი და შეად-
გინონ მოთხრობა, სადაც ამ ცნებებს გამოიყენებენ, შეუძლიათ აღწერონ სურათიც,
სადაც მსგავსი სახელოსნო იქნება წარმოდგენილი;
- ისტორია, VIII კლასი, მეორე მსოფლიო ომი” - სუსტ მოსწავლეებს შეუძლიათ შემდე-
გი ტიპის დავალების შესრულება: დაწერონ ძირითადი მოვლენები, რომლებიც
მოხდა 1939 წელს, 1941-1945 წლებში, ისაუბრონ ატომურ ბომბზე, შეადგინონ მცირე
მოთხრობა ომის თემაზე;
- IX კლასში ასეთ მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ შემდეგი ცნებები: მეტროპოლია,
კოლონია, გავლენის სფერო, დაპრობილი ქვეყანა, განმათავისუფლებელი ბრძოლა
და სხვ.

სუსტი მოსწავლეების ტესტური შემოწმების დროს შეიძლება გამოვიყენოთ ტესტები, სუსტი მოსწავლეების ტესტური შემოწმების დროს შეიძლება გამოვიყენოთ ტესტები, რომლებიც ალტერნატიულ პრინციპზეა აგებული (დიახ-არა, მარჯვენა-მარცხენა, აქვს-არ აქვს...). მაგალითად, ისტორია, VIII კლასი:

1832 წლის შეთქმულების შედეგები:

- აჯანყების გამარჯვება;
- აჯანყების დამარცხება.

სუსტ მოსწავლეებს, ასაკის მიუხედავად, ჭირდებათ მოცემული მასალის მოთმინებითა და გეგმაზომიერად შესწავლა/მიწოდება, მასწავლებლის მიერ ემოციური და ვიზუალური საშუალებების აქტიურად გამოყენება, რადგან ეს ერთადერთი გზაა ისტორიის შესწავლისთვის ინტერესის გასაღვიძებლად და მოტივაციის ასამაღლებლად.

- **საშუალო შეძლების მოსწავლეებად** ჩაითვლებიან ისინი, ვისაც სრულიად დამაკმაყოფილებელი ცოდნა გააჩნიათ ისტორიაში. მათ იციან ძირითადი ფაქტები, ცნებები, სასწავლო პროგრამას ფლობენ საშუალოდ; არცთუ ცუდად შეუძლიათ შესწავლილი მასალის გამოყენება და გარდაქმნა; ისტორიული აზროვნება, წარმოსახვა, მეტყველება, მახსოვრობა და სხვა შემეცნებითი შესაძლებლობები უკეთესადაა განვითარებული, ვიდრე სუსტ მოსწავლე-ებში; ასეთ ჯგუფებში ისტორიის მიმართ გარკვეული დაინტერესებაც მეტია და შესწავლის სურვილიც.

მსგავს ჯგუფებში ტესტური შემოწმებისას შეიძლება გამოვიყენოთ ტესტები, რომლებიც შედგენილია შემდეგნაირი პრინციპით:

- კლასიფიკაციის პრინციპით;
- დამატებითი პრინციპით;
- ჯაჭვისებური პრინციპით;
- ძირითადი ბირთვის/ცნების გარშემო დავალების აგების პრინციპით.

მაგალითები:

კლასიფიკაციის პრინციპით შედგენილი ტესტი:

ცვლილებები, რომელიც მოხდა გლეხთა ცხოვრებაში 1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ:

- სხვა წოდებებთან გლეხთა სრული უფლებრივი გათანაბრება;
- გლეხთა პირადად გათავისუფლება;
- გამოსასყიდი თანხის გადახდამდე გლეხთა დროებითი ვალდებულება;
- მიღებულ მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭება.

დამატებითი პრინციპით შედგენილი ტესტი:

ყირიმის ომში მონაწილეობდნენ შემდეგი ქვეყნები:

- რუსეთი;
- რუსეთი, თურქეთი;
- რუსეთი, თურქეთი, ინგლისი;
- რუსეთი, თურქეთი, საფრანგეთი;
- რუსეთი, თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი, სარდინიის სამეფო;
- რუსეთი, თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი, სარდინიის სამეფო, ესპანეთი.

ჯაჭვისებური პრინციპით შედგენილი ტესტის დროს პირველი პასუხის მეორე სიტყვა უნდა იყოს მეორე პასუხის პირველი სიტყვა და ა.შ.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრები იყვნენ:

- ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი;
- გ. ლასხიშვილი, ა. დეკანოზიშვილი;
- ა. დეკანოზიშვილი, გ. რცხილაძე;
- გ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა.

ძირითადი ბირთვის/ცნების გარშემო დავალების აგების პრინციპით შედგენილი ტესტი:

ფეოდალური წყობა ესაა:

- საზოგადოებრივი წყობა, რომლის დროსაც ფეოდალს უფლება ჰქონდა, ჰყოლოდა გარკვეული რაოდენობის ყმა გლეხები;
- საზოგადოებრივი წყობა, რომლის დროსაც არსებობს კანონები ფეოდალების უფლებების დასაცავად;
- საზოგადოებრივი წყობა, რომლის დროსაც მემამულე აიძულებდა მის მიწაზე მიმაგრებულსა და მის კუთვნილ გლეხს შეესრულებინა სხვადასხვა საშუაო;
- საზოგადოებრივი წყობა, რომლის დროსაც ქვეყნის მცხოვრებთა ნაწილი ფეოდალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

- რაც შეეხება **ძლიერ, კარგად მომზადებულ მოსწავლეებს**, მათ შეუძლიათ აზროვნების სხვადასხვა დონეზე მუშაობა: პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების შესრულება, სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროსთან მუშაობა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეერთება. ასეთ მოსწავლეებს აინტერესებთ ისტორია, მკვეთრად გამოხატავენ საგნის მიმართ ინტერესს, კარგად იცნობენ და ახსოვთ განვლილი მასალის ფაქტობრივი და თეორიული შინაარსი, იყენებენ დამატებით მასალასაც, აქვთ განვითარებული ისტორიული აზროვნება, წარმოსახვა, მეტყველება, შესასწავლი საკითხების მიმართ ფლობენ სხვადასხვა უნარ-ჩვევას, შეუძლიათ არამართო გარდაქმნან ისტორიული მასალა და ცოდნა, არამედ შემოქმედებითად გამოიყენონ დამოუკიდებელი სასწავლო-კვლევითი საქმიანობისთვის.

მაგალითად, თემა „საქართველოს სახელმწიფო წყობილება XI-XII საუკუნეებში“ IX კლასში - ძლიერ მოსწავლეებს შეუძლიათ შეადგინონ სქემა XI-XII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ, შეადარონ და გააკეთონ დასკვნები შემდეგი პრინციპით: რა მსგავსება და განსხვავება იყო XI და XII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში?

- ასეთ ჯგუფებთან ტესტური დავალებების დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა სირთულის ტესტი. მაგალითად, სამხედრო მოქმედებები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში მიმდინარეობდა:
 - ბალკანეთზე;
 - ამირკავკასიაში;
 - ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში.
- ასევე, შეიძლება გამოვიყენოთ ორმაგი ალტერნატივის ტესტები, რაც სხვადასხვა ნიშნით შედარების საშუალებას იძლევა. მაგალითად:

სახელმწიფო გლეხები შემამულე გლეხებისგან განსხვავებით:

- ფლობდნენ პირად თავისუფლებასა და გარკვეულ მიწის ნაკვეთს;
- ფლობდნენ თავისუფლებას საკუთარი მიწის ნაკვეთის გარეშე;
- ფლობდნენ საკუთარი მიწის ნაკვეთს პირადი თავისუფლების გარეშე;
- არ ჰქონდათ არც პირადი თავისუფლება და არც არანაირ მიწის ნაკვეთს არ ფლობდნენ.

- ისტორიის შესწავლისას დიდია ისტორიული პიროვნებების როლი, მათი აღმასვლითა და დაცემით, გამარჯვებებითა და დამხრებული შეცდომებით დაინტერესების ფაქტორი. ისტორიული პიროვნებების დახასიათებისთვის, ასევე, არსებობს სამახსოვრო ალგორითმებიც. მაგალითად:
 - VIII კლასში მოსწავლეებს შეხვდებათ: ადოლფ ჰიტლერი, იოსებ სტალინი და სხვ.,
 - VII კლასში - „ვინ არის ის - ნაპოლეონ ბონაპარტი - გენიოსი თუ ბოროტმოქმედი?“
 - IX კლასში - „საკითხები საქართველოს სახელმწიფოს აღმასვლისა და დაცემის შესახებ“.
- ისტორიის შესწავლისას დიფერენცირებული მიდგომა შეგიძლია გამოვიყენოთ გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზეც, ხოლო, თემის დასრულების შემდეგ შეთავაზებული შემაჯამებელი საკონტროლო აუცილებლად უნდა მოიცავდეს მზარდი სირთულის დავალებებს. მაგალითად:
 - უპასუხეთ შეკითხვას - როდის მოხდა ეს? (უნდა განვსაზღვროთ ჩამოთვლილი, მნიშვნელოვანი მოვლენების თარიღები);
 - ახსენით, განმარტეთ ცნებები;
 - დაწერეთ მოთხრობა, თხზულება, ტესტი, შეადგინეთ შედარებითი ცხრილი.

საკონტროლო სამუშაოს დროს მოსწავლე თავად განსაზღვრავს როგორი დავალების შესრულება შეუძლია, ხოლო, მასწავლებელი სწავლის დამთავრების შემდეგ, ადვილად შეამჩნევს, რა პრობლემები არსებობს სწავლებასთან დაკავშირებით.

დიფერენცირებული მიდგომები კლასგარეშე სამუშაოს ჩატარებისთვისაც შეგიძლია გამოვიყენოთ. მაგალითად:

- ისტორიის კვირულისთვის;
- ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრებისთვის;
- ისტორიის ოლიმპიადის მოწყობისთვის (აქაც მოსწავლე თავად შეარჩევს დავალებებს თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით).

ასეთ დროს გვხვდება დიფერენციაციის შემდეგი საფეხურები:

- I საფეხური - ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ სიმალღეზე ასვლა - კონსპექტის ან/და გეგმის შედგენა;
- II საფეხური - ისტორიულ რუკასთან მუშაობა (განსაზღვრეთ, რომელი ომი ან/და ბრძოლა იყო ეს, როდის მოხდა და კიდევ რა იცით ამის შესახებ?);

- III საფეხური - თარიღებზე მუშაობა (2 წუთში დაალაგეთ თარიღები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და დაასახელეთ მოვლენები);
- IV საფეხური - ცნებებზე მუშაობა (1 წუთში ახსენით რაც შეიძლება მეტი ცნება, ტერმინი);
- V საფეხური - ექსკურსია მუზეუმში (მოთხრობის შედგენა რაიმე არქეოლოგიური ნივთის ან/და ნახატი მხედვით);
- VI საფეხური - ისტორიული პირების ამოცნობა (ისტორიული პიროვნებების პორტრეტების ამოცნობა, მათი გვარების დასახელება);
- VII საფეხური - რომელიმე მხარის შესწავლა, მაგალითად, „მოგზაურობა იმერეთში“ (ამ მხარის ღირსშესანიშნაობების აღწერა).

ისტორიის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომა მასწავლებელს მრავალი სირთულის გადაწყვეტაში ეხმარება, ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას, საგნის სპეციფიკისთვის დამახსიათებელი ბევრი ნიუანსის სწორად დანახვასა და წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში.

როგორ განვახორციელოთ საინტერესო პროექტი სკოლისთვის?

უპირველესად განვიხილოთ შემდეგი საკითხები და პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: განადგურდა კი საბჭოთა კავშირი? რუკაზე - დიახ, მაგრამ აზროვნებაში? ჩვენს აზროვნებაში? ყოველთვის ვიტყვი: არა, რადგან ადეკვატურად არ შეფასებულა. ვიდრე ეს არ მოხდება (სამწუხაროდ, დასასრულის კი არა, აღორძინების ნიშნებს უფრო ვხედავთ), საბჭოთა კავშირიც იარსებებს, იარსებებს და წინ არ გაგვიშვებს, დაგვაბრკოლებს, ჩამოგვარჩენს. ისტორიის გამოცდებზე ჩასაბარებელ პროგრამულ ნუსხაში რუსეთის ისტორიას დიდი ადგილი უკავია. ეს ეხება როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის გამოცდებსაც. ვერა და ვერ გავცდით რუსეთს. ვერც მისდამი ლტოლვას. ამიტომ ვკითხულობ, დაემხო კი საბჭოთა კავშირი? ეს მოწამვლა ხომ დღესაც გრძელდება. ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს რუსეთის ისტორია ასე დაწვრილებით სასკოლო პროგრამაში (საგამოცდოს ვგულისხმობ, რადგან ეროვნულმა გეგმამ უკვე რამდენიმე წელია დაკარგა ფასი და არსიც, საგამოცდო საკითხები გადაიქცა რეალურ ეროვნულ გეგმად). მავანი (და რამდენია!) შემეკამათება: „რას ამბობთ, ეროვნულ სასწავლო გეგმას ხომ ვწერთ ახალი გაკვეთილის გეგმაში?!“ დიახ, ვწერთ, მაგრამ რეალურია? რეალობა ისაა, რომ საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი იქცა ეროვნულ გეგმად. ასეა და ვინც საპირისპიროს იტყვის ან იფიქრებს, ის, ცხადია, პრაქტიკას „აცდენილია“. როგორ, არ უნდა იცოდეს მოსწავლემ დეტალურად პეტრე პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა?! იცოდეს, მაგრამ იცოდეს საქართველოსთან მიმართებით. თუ მეტის გაგება უნდა, ისწავლოს თავად, პროგრამული ჩარჩოების მიღმა. ან რუსეთის 1905 წლის რევოლუცია რატომ უნდა ისწავლებოდეს დეტალურად? რა არის ამის მიზანი? თანაც, ხომ იცით, პრინციპი ასეთია: სახელმძღვანელოში წერია? - მაშასადამე, უნდა ვასწავლოთ! პროგრამაში წერია? - მაშასადამე, უნდა დავიზუპიროთ!

თემას ცოტა გადაუხვია... მოსწავლეები დღეს გაორებული არიან. ერთნი ბრალს სდებენ რადიკალიზმში (სტალინისადმი ნეგატიური ანუ ობიექტური დამოკიდებულების გამო და, სამწუხაროდ, მათი რიცხვი არც ისე მცირეა). მეორენი ხოტბას ასხამენ სტალინს, მესამენი კი, შაბლონურ ფრაზას ამოფარებიან: ჭკვიანი იყო - ომი მოიგო (აი, ისინი, ნეიტრალურები რომ არიან ყველაფრის მიმართ, უფრო კი ინფანტილურები, და ამ ომს დღესაც სამამულო ომად იხსენიებენ (ვაი, მამულო!). ასეთია სინამდვილე და, ვფიქრობ, ისტორიკოსებს, თუმცა, ცხადია, არა მხოლოდ მათ, დიდი ბრალი მიუძღვით ამაში.

პროექტის „უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლოები საქართველოში“ განსახორციელებლად საჭიროა წინარეცოდნა. მოსწავლეებს რეალურად სჭირდებათ წინარეცოდნა (სამწუხაროდ, მას არ იძლევა სახელმძღვანელოები, სადაც სულ ოთხი საათი აქვს დათმობილი საბჭოთა ისტორიას, სტალინურ ეპოქას კი, მხოლოდ ერთი (კონტექსტი ცალკე თემაა). მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა სტალინური რეპრესიების, ჰოლოდომორის, ეკონომიკური პოლიტიკის, პროპაგანდის, სტალინის კულტის (კულტურაში და არა მხოლოდ) შესახებ, განხილული უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ სტალინური ეპოქა, არამედ, საბჭოთა კავშირი თავისი „ეროვნული“ თუ სახელმწიფო პოლიტიკით.

პროექტი XI კლასისთვის

- პროექტი გრძელვადიანია და სკოლის აქტიურ დახმარებასა და მხარდაჭერას მოითხოვს;
- პროექტი ხარჯიანია და სკოლისგან დაფინანსებას მოითხოვს.

პირველი კვირა

1. მოსწავლეები სხდებიან სკოლის მიერ დაქირავებულ მიკროავტობუსებში ისე, რომ არ იციან საკვლევი თემა. ეს მნიშვნელოვანია.

აუცილებელია, თან იქონიონ ბლოკნოტი, კალამი, ფოტოაპარატი.

2. მხოლოდ დანიშნულების ადგილამდე 10 წუთით ადრე აუხსნის მასწავლებელი პროექტის მიზანს: მათ კონკრეტულ ადგილას უნდა მოძებნონ საბჭოთა სიმბოლიკა. დრო: 5-10 წუთი. უნდა გააჩერონ გამვლელები (არანაკლებ ორი რესპონდენტი) და ჩაიწერონ მათი დამოკიდებულება - უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლიკა საქართველოში.

ლოკაციის ადგილები: გალაკტიონის ხიდი, პარლამენტის შენობა, იმელის შენობა, ორთაჭალის ჰესი-ხიდი (რეგიონებში მასწავლებლებმა თავად მოძებნონ და შეიტანონ გეგმაში ასეთი ადგილები).

სკოლისთვის მნიშვნელოვანი და ფასეული იქნება კვლევისა და ინტერვიუს პროცესის ფირზე აღბეჭდვა.

პროექტი გრძელვადიანია და მასში მოსწავლეები არიან აქტიურები, მასწავლებელი კი ძირითადად მოდერატორია.

მეორე კვირა

ექსკურსია გორში - სტალინის სახლ-მუზეუმში

მოსწავლეები მიჰყვებიან ექსკურსიამდოლს და ეცნობიან ექსპოზიციას. იწერენ ინფორმაციას ბლოკნოტებში. ყურადღებას აქცევენ გიდის დამოკიდებულებას და ინიშნავენ.

ამ აქტივობის შემდეგ რეფლექსია აუცილებელია. მასწავლებელი მოდერატორია, რაც ნიშნავს, რომ მან უნდა მოახდინოს მონაცემთა კლასიფიკაცია და ანალიზი (მოსწავლეთა პასუხების განხილვა უნდა მოხდეს მომდევნო გაკვეთილზე ან სხვა გამოყოფილ დროს, როცა მასწავლებელს მზად ექნება მონაცემთა ანალიზი).

მესამე კვირა

ოკუპაციის მუზეუმი

ექსკურსიამდოლი არ არის საჭირო. მოსწავლეები თავად იკვლევენ და იწერენ ინფორმაციას, აღწერენ საკუთარ ემოციებს, სპონტანურად. იღებენ ფოტოებს. მასწავლებელი აქაც დამკვირვებელია. ის აღნუსხავს მოსწავლეთა ემოციებს, ჩართულობას, კვლევას, კითხვების არსს და ყოველივე ამას იწერს, რათა შემდეგ გააანალიზოს.

უკუკავშირი-რეფლექსია აქაც აუცილებელია. მასწავლებელმა უნდა გამოყოს დრო მოსწავლეებთან სასაუბროდ: ინფორმაციის დასაზუსტებლად, კვლევის შესაფასებლად და ემოციების დასაფიქსირებლად.

მასწავლებელმა ყველა აქტივობას თან უნდა დაურთოს რეფლექსიის ფურცელი (რომელსაც თავად ქმნის). მაგალითად, ასეთი:

პროექტი. რიცხვი/თვე/წელი/II ეტაპი		
მოსწავლე	აქტივობა 2 - ოკუპაციის მუზეუმის მონახულება	რეფლექსია
	მასწავლებელი აღწერს მოსწავლის ჩართულობას, კვლევის მეთოდს (კითხულობს თუ მხოლოდ ათვალეიერებს? სერიოზულად უდგება თუ ფორმალურად? კითხვები აქვს თუ არა? როგორი? როგორ ემოციას განიცდის? რით გამოიხატება?	კვლევის შეფასება: რა ინფორმაცია მოიპოვა? რამდენად ვალიდურია? არის თუ არა რამე საკითხი, რომელსაც, მისი აზრით, სჭირდება დამატებითი კვლევა? რა კუთხით? რატომ? ემოციის შეფასება: როგორი ემოცია - დამოკიდებულება ჰქონდა აქამდე? კვლევის პროცესში? შემდეგ? რით გამოიხატება?
სახელი, გვარი		

მეოთხე კვირა

მოსწავლეებს ეძლევათ საშინაო დავალება: კვლევის შედეგების გამოყენებით, დაწერონ ვრცელი ესე „უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლიკა საქართველოში“. მოსწავლეებს ვთხოვთ, გამონათონ მკაფიო პოზიცია, მაგრამ ბოლოს.

ესე კომპოზიცია ასეთია:

1. შესავალი
2. არგუმენტი (მტკიცებითი)
3. არგუმენტი (მტკიცებითი)
4. არგუმენტი - უარყოფელი
5. არგუმენტი - უარყოფელი
6. დასკვნა

სასურველია, ესე ჰქონდეს დეტალურად გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც დაურიგდებათ მოსწავლეებს (კარგი იქნება, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შექმნას ასეთი კრიტერიუმი).

არგუმენტი აქ გულისხმობს არა ერთ-ორ წინადადებას, როგორც ჩვენს საგამოცდო სივრცეშია მიღებული, არამედ, მსჯელობის მთელ სისტემას, რომელიც მოსწავლემ უნდა გაამყაროს ფაქტებით, მაგალითებითა და მსჯელობით.

მეხუთე კვირა

საუბარი „ექსპერტთან“

დისკუსია (რამდენადაც შესაძლებელია შესაძლებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ვიწვევთ ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს). ექსპერტებად, ვფიქრობ, სასურველი იქნება ისეთი ადამიანების მოწვევა, რომელთაც:

- აქვთ მოსწავლეებთან კომუნიკაციის არაჩვეულებრივი უნარი;
- არიან თავისუფლები და გახსნილები;
- არ არიან საბჭოთა ისტორიკოსები თუ ლიტერატორები ანუ არიან თანამედროვეები (საბედნიეროდ, არსებობს უამრავი ბლოგი, სადაც საინტერესო და არამაბლონური სტატიები ქვეყნდება. შეიძლება, სწორედ მათ მიხედვით იქნეს შერჩეული ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი).

მეექვსე კვირა

მოცემულ რეზოლუციაზე დებატებისთვის მზადება.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება მასალის მოძიებაში, ფოტო და ვიდეოკოლაჟების მომზადებაში. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ რესურსების ნაწილი (განხილულია სხვადასხვა მოსაზრება და საკანონმდებლო ბაზა), რომელიც ეფექტურია მოცემული თეზისის განხილვისთვის.

<http://sovlab.ge/node/99>

<http://www.radiotavisupleba.ge/content/lagodekhi/25093959.html>

<http://www.amerikiskhma.com/content/comunist-simbols-105252013/532794.html>

<http://www.geotimes.ge/index.php/index.php?m=home&newsid=35124&lang=geo>

<http://www.liberali.de/node/3164>

მეშვიდე კვირა

დებატების ტექნიკა: სწავლება

მერვე კვირა

დემოდებატი.

მონაწილეთა რაოდენობა:

1. გუნდი - მტკიცებითი;
2. გუნდი - უარმყოფელი;
3. გუნდი - მსაჯები. რაოდენობა - კენტი (მსაჯობას გაუწევენ მხოლოდ უფროსკლასელები (XI-XII კლასებიდან);
4. მსმენელები.

სკოლის გასაწევი ხარჯები:

- ტელევიზია და ყოველი ეტაპის გადაღების უზრუნველყოფა;
- მიკროავტობუსის (ან ავტობუსის) დაქირავება სამჯერ;
- ფოტოების დაბეჭდვა;
- გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემა - პროექტის ყველა აქტიურ მონაწილეს (მასწავლებლის მითითებისამებრ) შეიძლება დაურიგდეს სიმბოლური საჩუქრები. სასურველია, გამარჯვებულ გუნდს გადაეცეს დამატებითი პრიზი და სკოლის სერთიფიკატი;

- დარბაზის უზრუნველყოფა - მნიშვნელოვანია, რომ დარბაზში იყოს ორი მიკროფონი. მოდებატეები დებატებს სცენაზე გამართავენ, ტრიბუნაზე გამოვლენ და მიკროფონით ისაუბრებენ;
- აუდიტორიის უზრუნველყოფა;
- არ არის სასურველი, პროექტში მონაწილეობდეს ან მსაჯობდეს უმცროსკლასელი (X კლასი და ქვემოთ).

სასურველია, დარბაზში მოიწვიონ მხოლოდ უფროსი კლასების მოსწავლეები: X კლასი და ზემოთ.

სასურველია, დებატებს დაესწრონ მასწავლებლებიც, მაგრამ გაითვალისწინონ, რომ პასიური მაცურებლები და მსმენელები იქნებიან და არ ჩაერიონ პროცესში (ეს მნიშვნელოვანია). უზრუნველყოფა უნდა მოხდეს წინასწარ, სკოლის ადმინისტრაციის დახმარებით.

მსაჯების კომენტარების შემდეგ დებატებს აფასებს პროექტის მასწავლებელი.

პროექტის ბოლოს, სლაიდშოუს გამოყენებით, მოსწავლეები აუდიტორიას გააცნობენ პროექტის ეტაპებს და სთხოვენ, ბარათებზე წერილობით გადმოსცენ საკითხისადმი თავიანთი დამოკიდებულება (ამისთვის დასჭირდება ბარათები).

ბოლო ეტაპი

მოსწავლეებს დარბაზშივე აქვთ სამი კედლის საჭიკარტე დაფა.

ურიგდებათ სამი ფერის ფურცელი: ვარდისფერი, მწვანე, ცისფერი.

რომელიმე ერთი ფერის ფურცელზე წერენ: ამ პროექტმა მომცა...

სხვა ფერის ფურცლებზე წერენ: ვისურვებდი/არ ვისურვებდი, რომ...

მესამე ფერის ფურცლებზე დაიწერება: რას დავტოვებ სამუდამოდ აქ, დარბაზში (ანუ რას დავივიწყებ). თუნდაც მოსწავლეებს არ ესმოდათ ამ კითხვის შინაარსი, მაინც არავინ აკონკრეტებს მას (სწორედ ამამია ინტრიგა - როგორც ესმით, ისე დაწერონ).

მეტი თვალსაჩინოებისთვის, პროექტის მიზანი წერილს ბოლოს დავურთე. მას შემდეგ, რაც მსურველი თითოეულ საფეხურს გაიაზრებს, უფრო ადვილად მიხვდება პროექტის მიზანს.

რა არის პროექტის მიზანი?

პროექტი სააზროვნო უნარ-ჩვევების მაღალ საფეხურზე გადის.

პროექტის მიზანია:

მოსწავლეებმა:

გამოიკვლიონ - მოახდინონ ინფორმაციის მოპოვება, კლასიფიკაცია და ანალიზი.

- მოსწავლეები გამოიკვლევენ თბილისში (ან რეგიონში) არსებულ საბჭოთა სიმბოლოებს, მათ ადგილმდებარეობას - ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა-დატვირთვა ამ კონკრეტულ ლოკაციას;
- მოსწავლეები ჩაატარებენ რესპონდენტთა და მონაცემთა ანალიზის კვლევას;
- მოსწავლეები ჩაატარებენ მუზეუმებში კვლევას ინფორმაციის მოპოვების, კლასიფიკაციისა და ანალიზის მიზნით;
- ესეს წერისას მოსწავლეები გამოიყენებენ კვლევას, ჩამოაყალიბებენ და გაანალიზებენ თავიანთ პოზიციებს.

შეფასონ

- დებატების შეფასება-სინთეზი. მოსწავლეები არგუმენტების აგებითა (წინასწარ) და პოზიციის შექმნით (წინასწარ) შეაფასებენ და უპასუხებენ რეზოლუციას.

შექმნან (სინთეზი)

- დებატები, გარდა წინასწარ მომზადებული პოზიციებისა თუ არგუმენტებისა, თამაშის პროცესში კონტრარგუმენტაცია, ჯვარედინი დაკითხვა, სხარტი ლოგიკური აზროვნებაა და ითვალისწინებს გამოსავლის შეთავაზებას.

ისტორიული კვლევა (I ეტაპი)

არავისთვის იქნება სიახლე, რომ მოსწავლეებს გასაძლიერებელი აქვთ წერიითი უნარ-ჩვევები ისტორიაში, რათა უკეთ წერონ ისტორიული ესეები, კითხვებზე ვრცელი, არგუმენტირებული და ამომწურავი პასუხები გასცენ, წინასწარ მოემზადონ X კლასში მინიპროექტის ისტორიული გამოკვლევის სახით წარმოდგენისთვის.

თავისთავად ის ფაქტი, რომ მოსწავლე X კლასში წერს ისტორიულ გამოკვლევას, კამათსა და დისკუსიას მოითხოვს. ვფიქრობ, X კლასში ეს ცოტა ნაადრევია. საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაში ისტორიულ გამოკვლევას ეთმობა XI კლასის II სემესტრი და XII კლასის I სემესტრი, მაგრამ ეს შემდგომი დისკუსიისა და განხილვის თემაა. ამჯერად, ყურადღებას იმაზე შევაჩერებ, რა პრობლემებია ისტორიული კვლევის მხრივ ჩვენს სკოლებში და როგორ უნდა დაიწეროს ისტორიული გამოკვლევა.

კვლევა გრძელვადიანი პროცესია და შეუძლებელია, მოსწავლემ მას რამდენიმე თვეში გაართვას თავი. იგი რამდენიმე ძირეულ ეტაპს მოიცავს და მთელი წლის (წლების) განმავლობაში მასწავლებლის მიზანი სწორედ ეს უნდა იყოს - აქციოს მოსწავლე მოაზროვნედ, მკვლევარად, რომელიც შექმნის საკუთარ პროდუქტს და მხოლოდ ზეპირი ინფორმაციის ამოღებასა თუ ზედაპირულ პრეზენტაციებს არ დასჯერდება. ისტორიული ესე წერა, თავისთავად, სიდრმისეული პროცესია, რაც ზედაპირულობას გამორიცხავს. მასწავლებლის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის - განუვითაროს მოსწავლეებს სიდრმისეული კვლევისა და ანალიზის უნარ-ჩვევები.

მასწავლებელთა უმრავლესობა, რატომღაც, სათანადოდ არ აფასებს ისტორიული კვლევის მნიშვნელობას. მაშასადამე, არ აქვს შინაგანი მოტივაცია. ამ შემთხვევაში, კარგი იქნება, სკოლამ, განათლების სამინისტრომ, ეროვნულმა სასწავლო ცენტრმა იზრუნონ გარეგან მოტივაციაზე. მაგალითად, საერთაშორისო ბაკალავრიატის მიხედვით, მასწავლებლები ჯერ თავად აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს, მერე კი, თავიანთი კომენტარებითა და შეფასებებითურთ უგზავნიან მოდერატორებს, რომლებიც დაეთანხმებიან ან არ დაეთანხმებიან მათ შეფასებას. საბოლოო ნიშანიც ორივე (მასწავლებლისა და გარე ექსპერტის) ქულიდან გამომდინარეობს, ხოლო თავად ნამუშევარს მოსწავლის საგნის საბოლოო შეფასებაში 20-25% უჭირავს.

ისტორიულ კვლევასა და მის ეტაპებს ჩვენ სახელმძღვანელოში (დიოგენე, X კლასი, ავტორები: ნატა ახმეტელი, ნათია ფირცხალავა), როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლის წიგნებში, ბევრი დრო და საკმაო რაოდენობის საათი დავუთმეთ, თუმცადა, მასწავლებლები კვლევის საჭიროებას იშვიათად ხედავენ და კიდევ უფრო იშვიათად ახორციელებენ მას X კლასში.

თავად ის ფაქტი, რომ ესე აფასებს მასწავლებელი და ამოწმებს მოდერატორიც, მეტ ობიექტურობასა და მნიშვნელობას სძენს ნაშრომს. ჩვენს სკოლებში გამსწორებელი მხოლოდ მასწავლებელია. არავინ კითხულობს, დაწერეს მოსწავლეებმა ეს გამოკვლევა თუ არა, იმუშავა მასწავლებელმა მათთან ამ მეთოდით თუ არა. არ ხდება მონიტორინგი. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, სკოლებს ნამუშევრები შესაფასებლად ერთმანეთისთვის გაეცვალათ. საქმეს ისიც ართულებს, რომ არ არსებობს ნამუშევრის შეფასების ერთი კონკრეტული სქემა.

მოსწავლეებს კვლევის პროცესს გავუადვილებთ, თუ შევთავაზებთ ისტორიული ესე ეტაპებს. თითოეული აქტივობა ხანმოკლეა, არ გეგონოთ, რომ მას მთელი გაკვეთილი უნდა დაუთმოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მოსწავლეებისგან არ მოვითხოვთ მეცნიერულ სამუშაოს. ისინი

მხოლოდ სკოლის მოსწავლეები არიან და ეს უნდა გვახსოვდეს, მაგრამ, ამავე დროს, რაც უფრო მაღალ სტანდარტს დავუწესებთ მათ, მით უკეთესი იქნება შედეგი (მასალაში გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც სწავლობენ როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით, ასევე, საერთაშორისო ბაკალავრიატში ინგლისურ ენაზე).

ისტორიული კვლევის ეტაპები

I ეტაპი: თემის არჩევა

ეს ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ეტაპია. მოსწავლემ უნდა აირჩიოს საკვლევი თემა. თუ მას თემა არ მოსწონს, დიდია შანსია, კვლევის წარმოება გაუჭირდეს ან მოტივაცია დაბალი ჰქონდეს. ამისთვის მასწავლებელმა უნდა დათქვას სათაურის შეთანხმების ბოლო დღე (სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისი), მანამდე კი, მოსწავლეებთან შესაბამისი აქტივობები განახორციელოს.

პირველი აქტივობა

მოსწავლეებს უნდა გააცნოთ, რას ნიშნავს ისტორიული კვლევა. გაცნობას არ უნდა ჰქონდეს ლექციური სახე. გაცილებით ეფექტური იქნება, თუ მოსწავლეებს დაუდებთ (ან აჩვენებთ) ერთ (ან რამდენიმე) წარსულ ნამუშევარს და მის შესახებ დაუსვამთ კითხვებს: რა მოეწონათ? რატომ? რა - ნაკლებად? რა - მეტად? ანუ გამართავთ დისკუსიას. მხოლოდ ასეთი დისკუსიის შემდეგ არის სასურველი გადახვიდეთ მიზანზე - აუხსნათ მოსწავლეებს, რა სახით უნდა წარმოადგინონ ისტორიული კვლევა.

მეორე აქტივობა

ამჯერად სასურველია, მოსწავლეებს გაესაუბროთ საერთო დისკუსიის საშუალებით და გამოყოთ მათი ინტერესების სფერო: ვის რა საკითხის გარშემო სურს კვლევის წარმოება, ესეს დაწერა. თუ დაინახეთ, რომ ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს თემის დამოუკიდებლად შერჩევა, სათითაოდ შეხვედით მათ და ინტერესების გამოკვეთაში დაეხმარეთ.

თემის ტიპები

აუხსენით მოსწავლეებს, რომ რაც უფრო ვიწროა საკვლევი თემა, მით უფრო წარმატებული იქნება კვლევა. ვთქვათ, მოსწავლემ აირჩია:

მაგალითი ა:

რელიგიური დევნა საბჭოთა საქართველოში.

თავისთავად, თემა საინტერესოა, მაგრამ შეუძლებელია, მოსწავლემ იგი 2000 სიტყვაში ჩაატიოს, რადგან ეს უფრო მეცნიერული ნამუშევარია. მაშ, როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი? ერთმა მოსწავლემ იგივე თემა ასე დაავიწროვა: „რელიგიური დევნა საქართველოში. მიზეზები და შედეგები. 1924 წელი“. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სხვა პერიოდის ამსახველი წყაროებიც, მაგრამ მხოლოდ შეფასებისთვის, თავად პროცესის აღსაწერად კი, 1924 წლის მოვლენები უნდა შეისწავლოს.

მაგალითი ბ:

ერთა ლიგა და საქართველო.

თემა, თავისთავად, მოცულობითია, ამიტომ, გარანტია იმისა, რომ მოსწავლე წარმატებით გაართმევს მას თავს, ნაკლებია. მოსწავლემ იგი ასე დაავიწროვა: „რა მიზეზებმა და წინაპირობებმა განაპირობა ერთა ლიგის მიერ საქართველოს დე-იურე აღიარებაზე უარის თქმა 1921 წელს?“ თემა საკმაოდ კონკრეტულია. მართალია, იგი ანალიზისა და შეფასებისთვის მოითხოვს ისტორიული წინაპირობების გამოკვლევას, მაგრამ მხოლოდ ერთი მიზნით - გაეცეს პასუხი მოცემულ შეკითხვას.

მაგალითი გ:

თემა: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები XX საუკუნეში.

კითხვა: რა შემთხვევაში იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოსთვის წარმატებული?

საკვლევი თემა, თავისთავად, საინტერესოა და დავიწროებული. კითხვის დასმა ასეთი ფორმულირებით კარგია და ეფექტური, რადგან ეს ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა განიხილოს არა მხოლოდ წარმატებული, არამედ წარუმატებელი ფაქტორებიც და შესაბამისი დასკვნა/დასკვნები გამოიტანოს.

მაშასადამე, კვლევის I ეტაპია ზოგადი თემის არჩევა.

როგორ ფიქრობთ, საინტერესო იქნება თუ არა მოსწავლეებისთვის იმის კვლევა, რატომ აფინანსებდა „კოკა-კოლა“ ჰიტლერს? ან რატომ/როგორ ეხმარებოდა ჰუგო ბოსი ნაცისტურ გერმანიას? ან როდის გაჩნდა საქართველოში პირველი ქარხანა ეროვნული წარმოებით და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას? ისტორია მხოლოდ ფეოდალური ხანა ხომ არ არის. პირიქით, რაც უფრო ნაკლებია ინფორმაცია სახელმძღვანელოებში (მაგალითად, XIX-XX საუკუნეების საქართველოს ძალიან მცირე ადგილი ეთმობა ისტორიის გაკვეთილებზე, კურიკულუმსა და სახელმძღვანელოებში), მით უფრო მნიშვნელოვანია საკითხზე ყურადღების გამახვილება. ეს უფრო დიდი გამოწვევაა მოსწავლისთვის, რაც, თავისთავად, კარგია.

მოსწავლეებს სთხოვეთ, თავი აარიდონ ისეთ ზოგად თემებს, როგორცაა, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის როლი ისტორიაში, მაგრამ რა მიზეზებმა განაპირობა მაკედონელისა და არისტოტელეს შორის უთანხმოება და რა შედეგი გამოიღო ამან, ეს უკვე საინტერესოა.

მაგალითი დ:

მოსწავლემ აირჩია თემა „ჰემინგუეი და ორუელი ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ“. თემა, თავისთავად, ძალიან საინტერესოა, მაგრამ მოსწავლე ნაშრომში მხოლოდ ორ ლიტერატურულ წყაროს ეყრდნობა. ამასთან, ეს ისტორიული მოვლენის შესახებ ლიტერატურული ნაწარმოებების შედარება უფროა, ვიდრე ისტორიული კვლევა.

მაგალითი ე:

მოსწავლემ აირჩია თემა „საბჭოთა საქართველოს ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. 9 აპრილი“.

საკვლევი კითხვა: უნდოდა თუ არა გორბაჩოვს საბჭოთა კავშირის დაშლა და რამდენად შეუწო ხელი 9 აპრილის ტრაგედიამ ამ მოვლენას?

ზოგადი თემა გასაგებია, მაგრამ საკვლევი კითხვა ძალიან ბუნდოვანია. უნდოდა თუ არა გორბაჩოვს საბჭოთა კავშირის დაშლა? თავისთავად, ეს თემაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ მოსწავლეს ვურჩევდი, თუ მხოლოდ ამას დატოვებს, უმჯობესია, ან საშინაო ან საგარეო ფაქტორებამდე დაავიწროვოს ანუ გახადოს ძალიან კონკრეტული და შეცვალოს კითხვის ფორმულირება. მეორე კითხვა: რამდენად შეუწყო ხელი 9 აპრილის ტრაგედიამ საბჭოთა კავშირის დაშლას? მოსწავლე ცდილობს, კავშირი დაამყაროს ამ მოვლენებს შორის, მაგრამ ეს კავშირი ბუნდოვანია, შესაბამისად, ბუნდოვანია კითხვისა და კვლევის არსიც. მოსწავლეს გაუჭირდება, პასუხი გასცეს თავისივე შეკითხვას, ამიტომ, მთელი გამოკვლევაც ისეთივე ბუნდოვანი იქნება, როგორც საკვლევი კითხვა.

ხაზგასასმელია, რომ საკვლევი თემა არ უნდა მოიცავდეს ბოლო 10 წლის მოვლენებს. ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ ჭარბობს ემოციები და ნაკლებია საღი აზრი, ემოციურ ფონზე გაკეთებული შეფასება კი მიუკერძოებელი და სანდო ვერ იქნება.

დასკვნისთვის, კიდევ ერთხელ კარგად გავიაზროთ ზემოთქმული სქემის სახით.

I ეტაპი	<p>მოსწავლეებისთვის საკვლევი ზოგადი თემების განსაზღვრა (მოსწავლეებს დაეხმაროთ, გაითვალისწინონ საკუთარი ინტერესები, გაიაზრონ, რომ ეს არის ისტორიული კვლევა და თემა აირჩიონ მხოლოდ ისტორიულ ჭრილში, არ მოახდინონ ინტეგრირება სხვა საგანთან).</p>
II ეტაპი	<p>საკვლევი თემის განსაზღვრა, საკვლევი კითხვის დასმა.</p> <p>მოსწავლეებს ურჩიეთ, საკვლევი თემის დასმა მოხდეს შუკითხვის სახით. შუკითხვა მათ კვლევის უკეთ სტრუქტურირებაში დაეხმარება, რადგან მთელი კვლევის მიზანი იქნება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც უკვე კარგია.</p>
III ეტაპი	

ისტორიის კვლევის მნიშვნელობა გაკვეთილებზე; ისტორიული კვლევის პროცესი - წყაროების მოძიება

ისტორიული კვლევის პირველი ეტაპი საკვლევი თემის ანუ თეზისის არჩევაა. უმჯობესია, თეზისი წარმოდგენილი იყოს კითხვის სახით, რაც მოსწავლეს თემაზე კონცენტრაციას გაუადვილებს.

მეორე ეტაპია თავად კვლევის პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე საფეხურისგან შედგება და რომელიც კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მოსწავლემ უნდა იგრძნოს მისი რაობა, მიიხიბლოს ამ პროცესით და დაინტერესდეს.

ისტორიული კვლევის პროცესის ეტაპები:

- **ბიბლიოგრაფია**

ვიდრე მოსწავლეები შეუდგებოდნენ საკუთრივ წყაროების მოძიებას, მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს ბიბლიოგრაფიას. ვურჩევ, პირველი გაკვეთილი ჩაატაროს სკოლის (ან ნებისმიერ სხვა) ბიბლიოთეკაში (თუ სკოლას ბიბლიოთეკა არ აქვს, შეიძლება, საკლასო ოთახში თავი მოვუყაროთ წიგნებს, რომლებიც ჩვენს კოლეგებს აქვთ სკოლაში და ოთახი დროებით „ბიბლიოთეკად“ ვაქციოთ). ამა თუ იმ წიგნის დამუშავებისას ყურადღება გაამახვილეთ ბიბლიოგრაფიაზე. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ მისი მნიშვნელობა, რადგან კვლევის დასასრულს, მათაც მოუწევთ თავიანთი ნამუშევრისთვის ბიბლიოგრაფიის დართვა, რაც კვლევის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამსჯელეთ ბიბლიოგრაფიის არსზე, მნიშვნელობაზე, საჭიროებაზე. თუ ადგილობრივ ბიბლიოთეკაში მოხერხდა ისეთი წიგნის მოძიება, რომელიც მოსწავლის თეზისს ეხება (მაგალითად, ენციკლოპედია), გაკვეთილი კიდევ უფრო ეფექტური გახდება. მოსწავლეები თვითონვე დაინახავენ ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობას - გაიგებენ, სახელდობრ, რა წიგნების გამოყენება შეიძლება შემდგომი კვლევისთვის ლოკალურიდან (სკოლის) ეროვნულ (რაიონულ) ბიბლიოთეკამდე. თუ კლასში (სკოლაში) ელექტრონული რესურსი (ინტერნეტი) ხელმისაწვდომია, მოსწავლეებს აჩვენეთ ნებისმიერი ისტორიული ვებგვერდი, სადაც მოცემულია ბიბლიოგრაფიის ნუსხა.

- **წყაროთა ტიპები**

რა ტიპის წყაროების გამოყენება შეიძლება ისტორიული კვლევისას? მთავარია, მოსწავლეებს ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის წყაროზე მუშაობის უნარ-ჩვევები. ეს ის უნარებია, რომლებიც მათ, წესით, დაბალი კლასებიდანვე თანდათანობით უნდა განუვითარდეთ ისტორიის გაკვეთილებზე. X კლასი კი ამ უნარების კონცენტრაციასა და აკუმულირებას ახდენს, რაც, საბოლოოდ, კვლევაში უნდა აისახოს (ამიტომაც, მიმაჩნია, რომ უმჯობესია, ეს კვლევა სწავლის უკანასკნელ ეტაპზე შესრულდეს და არა X კლასში).

მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის წყარო, მაგრამ მასწავლებელი მიუთითებს, რომ მათ რიცხვში აუცილებლად უნდა იყოს პირველადი წყაროც (წყაროები).

წყაროს ტიპი თეზისსა და, საზოგადოდ, თემაზეა დამოკიდებული. სადავო არ არის, რომ მრავალფეროვან წყაროებზე მუშაობა მოსწავლეებს უფრო მეტ ინტერესს უღვიძებს: ინტერვიუ (მოსწავლემ თავად უნდა შეადგინოს კითხვარი და მის მიხედვით ჩაატაროს ინტერვიუ), მოგონებები, ბიოგრაფია, პერიოდიკა, ვიზუალური წყაროები (ფოტო-ფონო-აუდიო-ვიდეო-მასალები), დოკუმენტაცია, წერილები, დღიურები, ელექტრონული მასალები (რომელთა

შერჩევას კიდევ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო), მხატვრული ლიტერატურა, კარიკატურები, პლაკატები (პოსტერები), რუკები. რაც უფრო მრავალფეროვანია წყაროები, მით უფრო საინტერესოა კვლევის პროცესი, მოსწავლეებს გაცილებით მოსწონთ მრავალფეროვან წყაროებზე მუშაობა. ეს მათ მოტივაციას უფრო მეტად ზრდის (მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ მოსწავლეებს საჭირო უნარების დიდი ნაწილი: წყაროებზე მუშაობა, მათი კრიტიკული ანალიზი და შეფასება, ამ დროისთვის უკვე განვითარებული უნდა ჰქონდეთ, ისტორიის გაკვეთილებზე მათი გამოყენება ყოველდღიურობა უნდა იყოს და არა სიახლე).

- **წყაროების კრიტიკული შესწავლა**

მოსწავლემ კრიტიკულად უნდა განიხილოს თითოეული წყარო, გამოცოს მისი ღირსებები თუ ხარვეზები, გაარკვიოს, მკაფიოდ არის თუ არა გამოხატული სუბიექტური პოზიცია, იკითხება თუ არა წყაროში სტერეოტიპული აზრები. მთავარია, წყაროები უშუალოდ ეხებოდეს მოსწავლის საკვლევ თემას, მნიშვნელოვანი იყოს ამ კვლევისთვის.

სხვადასხვა ტიპის პირველადი და მეორეული წყაროების კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტაცია მოსწავლეს დაეხმარება, კარგად გაიაზროს საკვლევ თემა, საფუძვლიანად გაანალიზოს დასახული პრობლემა და სხვადასხვა წრილში და სხვადასხვა პერსპექტივით განიხილოს იგი.

თითოეული წიგნი/წყარო მოსწავლემ კრიტიკული კითხვებით უნდა შეისწავლოს და გაანალიზოს.

კითხვების ნიმუშები

- ვინ არის წყაროს ავტორი? რა ეროვნებისაა იგი? აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა?
- როდის არის დაწერილი წყარო? (აქ მოსწავლე მხოლოდ თარიღის დადგენას კი არ უნდა დასჯერდეს, კრიტიკულადაც უნდა მიუდგეს მისი სანდოობის საკითხს. ის ფაქტი, რომ წყარო დაწერილია მოვლენის დროს (ეს უმთავრესად პირველად წყაროს ეხება), იძლევა თუ არა საშუალებას, ეჭვი შევიტანოთ ან, პირიქით, დავწრმუნდეთ მის სანდოობაში?)
- ახერხებს თუ ვერა ავტორი, გადმოგვცეს დეტალური ინფორმაცია საკვლევ თემის შესახებ?
- როგორია ავტორის სტატუსი?
- რა არის წყაროს ავტორის მიზანი?
- ვისთვის წერს ავტორი ამ წყაროს, ვისზეა იგი გათვლილი?
- რა მეთოდებს იყენებს ავტორი წყაროში - მხოლოდ აღწერს ფაქტებს, გამოაქვს დასკვნები, აკეთებს შეფასებებს?
- იყენებს თუ არა წყაროს ავტორი სხვა წყაროებს?
- მიკერძოებულია თუ არა?
- გამოთქვამს თუ არა სტერეოტიპულ შეხედულებებს?

წყაროს წარმომავლობა	ვინ არის წყაროს ავტორი? როდის არის დაწერილი წყარო? რა სტატუსი აქვს ავტორს? რა ტიპის წყაროა? ვინ? რა? როდის? სად?
მიზანი	რა მიზნით დაიწერა წყარო? რატომ?
ღირებულებები	რას ვიგებთ ავტორის შესახებ? დროის შესახებ? -გარემოებების შესახებ? რა ვითარებაში დაიწერა წყარო? ცვლის თუ არა ეს რაიმეს? არის თუ არა წყარო კრიტიკული? სანდო? გამოხატავს თუ არა რომელიმე მხარეს? პოზიციას? რა ხდებოდა ისტორიაში მაშინ, როდესაც ეს წყარო შეიქმნა? მოახდინა გავლენა ამ მოვლენებმა? ინფორმაციულია თუ არა წყარო?
ნაკლოვანებები	რას არ გვამცნობს წყარო? რატომ? როგორ შეგვიძლია დავახასიათოთ წყარო? არის ეს პროპაგანდა? არის წყაროში ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია? ბუნდოვანია თუ არა წყარო? სანდოა? დაასაბუთე.

• ჩანაწერების გაკეთება:

მოსწავლემ, მას შემდეგ, რაც წიგნების/წყაროების შერჩევას დაიწყებს, პარალელურად უნდა გააკეთოს არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ - ორგანიზება გაუწიოს თავისივე კვლევას:

- გააკეთოს ჩანაწერები;
- დარწმუნდეს წყაროების შერჩევის მართებულობაში;
- აკონტროლოს დრო.

მასწავლებელი უნდა მართავდეს მოსწავლის კვლევის პროცესს. მან არ უნდა „დაივიწყოს“ კვირისა თუ კვირების წინ მიცემული დავალება, დააკვირდეს, როგორ მიმდინარეობს წყაროების მოძიება. რეკომენდირებულია, გაკვეთილზე ამას დაეთმოს რამდენიმე წუთი: მასწავლებელმა ჰკითხოს მოსწავლეებს, რა გაუჭირდათ, რა მოეჩვენათ საინტერესოდ, შესთავაზოს დახმარება, მისცეს გუზი - სად შეიძლება მათთვის საჭირო წყაროების მოძიება. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ ზუსტად იცოდეს, რამდენი დრო უნდა დაუთმოს ამას, როდის უნდა დაასრულოს ეს პროცესი (ეს იმაზეა დამოკიდებული, სად ცხოვრობს მოსწავლე, რამდენად მიუწვდება ხელი წყაროებზე. საშუალოდ, ამისთვის შეიძლება 5-8 კვირა მივცეთ. ეს ღოგმა არ არის, შეიძლება ლავირება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ უმჯობესია, თქვენ მიერ შემუშავებული გრაფიკი, რომელსაც მოსწავლეებს თავიდანვე გაუზიარებთ, არ შეცვალოთ).

ჩანაწერების-ჩანიშვნების გაკეთება

(მოსწავლეებს ეს კითხვარი, წყაროების მოძიების გეგმა და დავალება დაურიგეთ წყაროების მოძიების პროცესის დაწყებამდე და მოითხოვეთ დასრულებისას).

წყაროების მოძიების გეგმა

- რატომ ავირჩიე კონკრეტული საკვლევი თემა/თეზისი?
- რატომ ავირჩიე ეს წყარო/წყაროები?
- რატომ მიმაჩნია, რომ ეს წიგნები (წყაროები) მნიშვნელოვანია ჩემი კვლევისთვის?
- 5-7 წიგნი (წყარო), რომლებიც მოვიძიე და ჩემი კვლევისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

წიგნის სათაური	
ავტორის ვინაობა/წიგნის გამოშვების თარიღი	
გამომცემლობა/გამოყენებული გვერდები	
ინფორმაცია	

- რამდენი წყარო უნდა გამოიყენოს მოსწავლემ ისტორიული კვლევისთვის?**

თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის დღემდე მიმდინარეობს დავა, მივუთითოთ თუ არა მოსწავლეებს წყაროების რიცხვი. მე პრაქტიკოსთა მოსაზრებას ვემხრობი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დაახლოებითი რაოდენობის მითითებით მოსწავლეებს კი არ ვზღუდავთ, არამედ, ვეხმარებით. კერძოდ, სასურველია, კვლევის წარმოებისას მოსწავლემ გამოიყენოს ხუთი-შვიდი წიგნი.

რით არის კარგი რაოდენობის განსაზღვრა? უპირველესად, იმით, რომ თავიდან აგვაცი-ლებს კვლევის ზედაპირულობას (დაკონკრეტების გარეშე მოსწავლემ, შესაძლოა, მხოლოდ ორი ან სამი წყარო მოიძიოს, რაც კვლევა კი არა, მხოლოდ წყაროების შედარება იქნება). მეორე, მოსწავლეები უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ კვლევას. ამ რაოდენობის ისტორი-ული წყარო (წიგნი) კი, მათ მართლაც მისცემს საშულებას, დასახული პრობლემა საფუძვლიანად შეისწავლონ. ასე რომ, გირჩევთ, თქვენც ურჩიოთ მოსწავლეებს, ამ კვლევისთვის დაამუშავონ მაქსიმუმ ექვსი-შვიდი და მინიმუმ ოთხი ისტორიული წყარო. მესამე, ყოველ-თვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი მოსწავლეები არიან და არა მეცნიერები, ამიტომ, კონ-კრეტიზაცია მათ უფრო დაეხმარება, ვიდრე, ხელს შეუშლის. დაბოლოს, წყაროთა რაოდე-ნობის განსაზღვრით, მოსწავლეებს დაეხმარებით კვლევის ორგანიზებაშიც - ევოლინებათ, როდის და რამდენი წყარო უნდა დაამუშავონ და თავიდან აიცილებენ იმ პრობლემას, რასაც დროის არარაციონალური გამოყენება ჰქვია.

- მასალის მოძიების პროცესის დასრულებისას**

მოსწავლეებს სთხოვეთ, შეავსონ მოცემული (ან მსგავსი) ცხრილი. მათ, შესაძლოა, ზუსტად არ ახსოვდეთ, როდის წაიკითხეს ესა თუ ის წყარო და რამდენი დრო დაუთმეს მას, ამიტომ, სასურველია, მასწავლებელი ამასაც თავად დააკვირდეს. ცხრილი საშუალებას მოგცემთ, გა-ეცნოთ მოსწავლეთა მიერ წყაროების მოძიების პროცესს, გაიგოთ მათი მოტივაცია და შეა-ფასოთ კიდევ.

რიცხვი/თვე/გამოყენებული დრო	რა ისწავლე ამ წყაროდან?	კვლევის რა ეტაპზე ხარ ამჟამად?	რა არის შენი კვლევის მომდევნო ეტაპი

<http://en.wikipedia.org/wiki/Bibliography> - მაგალითად, ამ ვებგვერდზე მასწავლებელს შეუძ-ლია აჩვენოს, რომ თავად ვიკიპედია ნაკლებად სანდო წყაროა, მაგრამ მისი ეფექტურად გა-მოყენება შესაძლებელია იმ ბიბლიოგრაფიის მეშვეობით, რომელიც თითოეულ სტატიას ერთვის.

კითხვის დასმის სტრატეგიები

წინამდებარე სტატიაში გაგაცნობთ კითხვის დასმის სტრატეგიებს, რომელთა გამოყენება მასწავლებელს საშუალებას მისცემს, მოსწავლეებს ანალიზისა და შეფასების უნარი განუვითაროს და სწავლის მოტივაცია აუმაღლოს. ამავე დროს, კითხვის დასმის სტრატეგიები მასწავლებელს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებაში დაეხმარება.

როგორ ვისწავლოთ კითხვის დასმა?

კითხვები საჭიროა იმისთვის, რომ უკეთ შევძლოთ გარე სამყაროში ორიენტირება. ალისონ კინგის თქმით, „მას, ვისაც შეუძლია კითხვის დასმა, შეუძლია აზროვნება“, ხოლო, „კარგი კითხვა“ ისაა, რომელიც ალტერნატიული პასუხების შესაძლებლობას იძლევა. კითხვის დასმა პრობლემის ფორმულირების საშუალებას წარმოადგენს. ჩვენს მოსწავლეებს შორის გაბატონებულია აზრი, რომ ნებისმიერ შეკითხვაზე არსებობს „სწორი პასუხი“ და თუ კარგად ისწავლეს, დასმულ კითხვაზე პასუხს ყოველთვის იპოვიან. სწორედ ამგვარი მიდგომა ბაძებს მოსწავლეებში უსიამოვნო განცდას, როდესაც ისინი ვერ ახერხებენ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას. ამიტომ, საჭიროა იმ წესების დაცვა, რომლებიც ამგვარ პრობლემას აგვარილებს:

- სიტუაცია, როდესაც მოსწავლეს არ შეუძლია კითხვაზე პასუხის გაცემა, შეიძლება ჩავთვალოთ ნორმალურად;
- მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს რაც შეიძლება მეტი დია, შემოქმედებითი კითხვა, რომლებიც მრავალი ალტერნატიული პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა და რომლებიც შემდგომი დისკუსიისკენ არის მიმართული;
- მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ არჩევანი, რაც თვითონვე უნდა შექმნან. მასწავლებელმა სწავლების ისეთი ფორმა უნდა გამოიყენოს, რომ მოსწავლეებმა თვითონ შექმნან კითხვების „ბანკი“, რაც კვლევისა და მასალის შესწავლისკენ იქნება მიმართული.

გთავაზობთ სტრატეგიას, რომელიც მოსწავლეებში კითხვის დასმის უნარის გამომუშავებას ისახავს მიზნად. „კითხვითი სიტყვები“ - ეს სტრატეგია გამოიყენება იმ დროს, როდესაც მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული წარმოდგენა საკვლევი თემის შესახებ და მეტ-ნაკლებად ერკვევიან შესასწავლი მასალის საბაზო ცნებებში. „კითხვითი სიტყვები“ ეხმარება მათ, შექმნან ე.წ. „ინტერესთა ველი“. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ძირითადი ცნებები, რომლებიც თემასთან არის დაკავშირებული ან ტექსტშია მოცემული და ჩაწერონ ისინი ორგანყოფილებიანი ცხრილის მარჯვენა ნაწილში. მარცხენა ნაწილში კი მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ კითხვითი სიტყვები (არანაკლებ, 8-10-ისა). ამის შემდეგ, 5-7 წუთის განმავლობაში, უნდა ჩამოაყალიბონ რაც შეიძლება მეტი კითხვა, რომლებშიც შეაზავებენ ცხრილის ორივე ნაწილის ელემენტებს. ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე, წყვილებში. ერთი პირობა: მოსწავლეებმა არ უნდა იცოდნენ პასუხები საკუთარ კითხვებზე (რა საჭიროა კითხვა თუ პასუხი ცნობილია?!). ასე რომ, შეიქმნება სრულიად განსხვავებული შეკითხვების რამდენიმე სია. ასეთი კითხვებია: როგორ? რა? სად? რატომ? რამდენი? საიდან? როგორი? რა გზით? როგორი ურთიერთკავშირი? რისგან შედგება? რა დანიშნულება აქვს? და სხვა. ამის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განიხილონ საკუთარი ცხრილები და აირჩიონ ორი (შეიძლება, 3-4) ყველაზე საინტერესო (პროდუქტიული, 3 მოულოდნელი, პრობლემური და სხვა) კითხვა. სანამ მოსწავლეები თავის ნამუშევრებს წარუდგენენ ჯგუფს ან მთელ კლასს, მათ უნდა ახსნან, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღეს გადაწყვეტილება:

- შესაძლოა, ყველამ უცბად ვერ გასცეს არგუმენტირებული პასუხი. ამ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია ჩაიწეროს ეს კითხვები, რათა მომავალში ისევ დაუბრუნდეს მათ;

- თუ მასწავლებელი სამუშაოს გაკვეთილის ბოლოს ატარებს, შეიძლება, შემდეგი გაკვეთილი სწორედ ამ კითხვების საფუძველზე დაიგეგმოს;
- შესაძლოა, ამგვარი სამუშაოს ჩატარებისას დაგროვდეს ძალიან ბევრი ან ზოგადი ხასიათის კითხვა. ეს კითხვები მასწავლებელმა უნდა შეინახოს და პერიოდულად დაუბრუნდეს მასალის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით. ამავე დროს, მას ექნება საშუალება, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია იმის თაობაზე, რა თემები და საკითხები აინტერესებთ მოსწავლეებს.

სტრატეგია “6W”

პატარა ბავშვები ხშირად სვამენ შეკითხვას „რატომ?“ ეს იმით აიხსნება, რომ მათ მეტის გაგება სურთ მათთვის საინტერესო მოვლენის შესახებ. დაახლოებით ამგვარი ხასიათის სტრატეგიას წარმოადგენს “6W”. ამ სტრატეგიის მიზანია:

- განუვითაროს მოსწავლეებს კითხვის დასმის უნარი;
- მოსწავლეებმა მიაგნონ ისეთ სიტყვიერ კონსტრუქციებს, რომლებიც მათ ადეკვატური პასუხის გაცემისა და რთული სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალებას მისცემს.

რატომ ჰქვია სტრატეგიას “6W”? W ინგლისური კითხვითი სიტყვის Why-ის საწყისი ბგერაა, ხოლო, სიტყვა Why ნიშნავს: „რატომ? რა მიზეზით?“ სტრატეგიის აღწერა: აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რვეულში ან ფურცელზე დახაზონ ცხრილი, რომელიც ორი გრაფისგან შედგება (იხ. ცხრილი). მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად. წყვილის ერთი წევრი მეორეს უსვამს კითხვას, რომელიც იწყება სიტყვით „რატომ?“, ხოლო, მეორე პასუხობს. მისი პასუხი იწყება კონსტრუქციით: „იმითომ, რომ“. ამ აქტივობის დროს უნდა დაისვას მინიმუმ 6 შეკითხვა, თუმცა შეიძლება კითხვების რაოდენობა გაიზარდოს, ხოლო, პასუხები არ უნდა განმეორდეს.

თითოეულ კითხვასა და პასუხს მოსწავლეები ცხრილის მარცხენა გრაფაში იწერენ. თუ პასუხის გამცემმა მოსწავლემ კითხვას პასუხი ვერ გასცა, ეს კითხვა ცხრილის მარჯვენა გრაფაში უნდა ჩაიწეროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სტრატეგიის წარმართვისთვის აუცილებელია, მოსწავლეებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეთ თემის შესახებ. აქტივობის დასრულების შემდეგ, რამდენიმე საინტერესო, პასუხგაუცემელი კითხვა მასწავლებელმა შეიძლება მთელი კლასის განსჯის საგნად აქციოს, რაც საინტერესო დისკუსიის საწინდარი გახდება. ამ სტრატეგიის უკეთ გასაგებად მოგვყავს მაგალითი: კითხვები და პასუხები პასუხგაუცემელ კითხვებზე. „იმითომ“ კითხვა: რატომ დაიპყრეს საქართველო მონღოლებმა? პასუხი: იმიტომ, რომ საქართველო იყო დასუსტებული. კითხვა: რატომ იყო საქართველო დასუსტებული? პასუხი: იმიტომ, რომ მეფის ხელისუფლება იყო სუსტი; კითხვა: რატომ იყო მეფის ხელისუფლება სუსტი? პასუხი: იმიტომ, რომ ფეოდალები არ ემორჩილებოდნენ მეფეს; კითხვა: რატომ არ ემორჩილებოდნენ ფეოდალები მეფეს? პასუხი: იმიტომ, რომ მათ უნდოდათ საკუთარი ძალაუფლების გაძლიერება და ა.შ. კითხვა: რატომ უნდოდათ ფეოდალებს საკუთარი ძალაუფლების გაძლიერება? პასუხი: იმიტომ, რომ მეფის ხელისუფლებაზე დაქვემდებარება მათ საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვად და ღირსების შელახვად მიაჩნდათ..

„მსხვილი და წვრილი“ შეკითხვები

გთავაზობთ ცხრილს, რომელიც საშუალებას მოგცემთ, უკეთ გაიგოთ ამ სტრატეგიის არსი.

„მსხვილი“ შეკითხვები	„წვრილი“ შეკითხვები

ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ ისეთი ტიპის 5 ღია შეკითხვა, რომელიც ღრმა, „გაშლილ“ პასუხებს მოითხოვს. მაგ., რა გავლენას ახდენდა პირველყოფილ საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილება? იმ ტიპის შეკითხვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვან, (შესაძლებელია, „ფაქტობრივ“) პასუხს მოითხოვს. მაგ., რა ჰქვია ბერძნულად ქვის ხანის უძველესს ეპოქას?

ეს სტრატეგია გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

- ურთიერთგამოკითხვის ორგანიზებისთვის - თემის შესწავლის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემაზე სამი „მსხვილი“ და „წვრილი“ შეკითხვის ჩამოყალიბებას. ამის შემდეგ, მოსწავლეები ცხრილში ჩაწერილ კითხვებს უსვამენ ერთმანეთს;
- შესასწავლ თემაზე საუბრის დასაწყებად. თუ მასწავლებელი უბრალოდ იკითხავს: „რა გაინტერესებთ ამ თემის შესახებ?“, დიდია ალბათობა, მოსწავლეთა პასუხი მოუფიქრებელი და უაზრო იყოს, მაგრამ თუ მასწავლებელი წინასწარ მინი-ლექციას ჩაატარებს ან მოსწავლეებს გააცნობს საკითხავ მასალას და შემდეგ სთხოვს, თითოეულ გრაფაში თუნდაც ერთი კითხვის ჩაწერას, შესაძლოა, ამ კითხვებმა უკეთ დაანახვოს მასწავლებელს შესასწავლი თემის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მოსწავლეებს აინტერესებთ.

სტატისტიკა და ისტორია; ისტორიული მოვლენის ანალიზი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით

XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიული მეცნიერება, ძირითადად, წარსული პოლიტიკური მოვლენების ანალიზს ემსახურებოდა. კვლევის მეთოდები მონოდისციპლინური იყო და ნარატიული მასალისა და ისტორიული დოკუმენტების შესწავლაზე გახლდათ დაფუძნებული. თანამედროვე ისტორიული მეცნიერება და კვლევა თვისებრივად განსხვავდება წარსული გამოცდილებისგან. ისტორიის საგანს წარსული ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ასპექტი წარმოადგენს. რაც შეეხება თანამედროვე კვლევის მეთოდებს, ისინი მულტიდისციპლინურია და სხვადასხვა მეცნიერების მიღწევებს იყენებს.

ამ მხრივ, საინტერესოა ისტორიული კვლევისას სტატისტიკური მონაცემების გამოყენება. ეს მეთოდი თავისუფლად შეიძლება დაინერგოს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში. მით უმეტეს, რომ თანამედროვე სახელმძღვანელოები ამის შესაძლებლობას იძლევა.

გთავაზობთ II მსოფლიო ომის ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს, რომელთა ანალიზიც ამ ისტორიული მოვლენის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება.

II მსოფლიო ომის ანალიზისთვის საჭიროა დავსვათ ისეთი შეკითხვები, რომლებზე პასუხის გაცემა-განსაზღვრული დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემს. ამისთვის, გთავაზობთ, ცხრილის სახით წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებსა და თანდართულ შეკითხვებს.

II მსოფლიო ომი

ცხრილი №1

მოკავშირე ქვეყნები და მათი ფინანსური ხარჯი

ქვეყანა	ომში მონაწილეობის წლები	მსხვერპლი ბრძოლის ველზე	მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში	ხარჯი (მილიარდი დოლარი)	მსხვერპლი მოსახლეობის ომამდელ რაოდენობასთან შეფარდებით
კანადა	1939-1945	39,000	0	16	0,3%
საფრანგეთი	1939-1940	340,000	470,000	9	1,9%
დიდი ბრიტანეთი	1939-1945	326,000	62,000	120	0,8%
პოლონეთი	1939	850,000	6,000,000	2	17,2%
სსრკ	1941-1945	13,600,000	7,700,000	192	10,4%
აშშ	1941-1945	295,000	0	360	0,4%
ჩინეთი	1941-1945	1,324,000	10,000,000	–	2,0%
იუგოსლავია	1941	300,000	1,400,000	–	10,9%
საბერძნეთი	1940-1941	350,000	400,000	–	7,2%
ჰოლანდია	1940	14,000	236,000	–	–
ბელგია	1940	10,000	75,000	–	1,1%
ინდოეთი	1939-1945	36,000	0	–	0,01%
ავსტრალია	1939-1945	29, 000	0	–	0,2%
ახალი ზელანდია	1939-1945	12, 000	0	–	0,6%
სამხრეთ აფრიკა	1939-1945	9,000	0	–	–
ნორვეგია	1940	5,000	0	–	0,3%
დანია	1940	4,000	0	–	–
მთლიანად		25,943,000	26,413,000	6490	

ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი

28 თებერვალი, 2012

არაერთ ახალ სახელმძღვანელოში შეხვდებით დავალებებს, რომლებიც ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას ითხოვს. რა თქმა უნდა, ჩვენი საგანი, გეოგრაფიაც, არ გამორჩევა სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან და ხშირად, ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს სხვადასხვა დისციპლინაში გამოყენებულ მეთოდებს. ამ მეთოდებს შორისაა ინტერვიუ. „ინტერვიუ“ ითარგმნება, როგორც, „საუბარი“. მართლაც, ინტერვიუ არ არის მხოლოდ ჟურნალისტიკის საინფორმაციო ჟანრი, არც მხოლოდ ერთი ადამიანის მეორესთან საუბრის გადმოცემის სალიტერატურო ხერხი, რაც მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. ინტერვიუ, ამავდროულად, ადამიანების ურთიერთობის გზით მონაცემების, ინფორმაციის მოპოვებაცაა.

ვიდრე ინტერვიუს სხვადასხვა სახეზე დავიწყებთ საუბარს, უნდა აღინიშნოს, რომ რა ფორმითაც არ უნდა წარიმართოს იგი, მას ესაჭიროება სერიოზული მომზადება, მით უმეტეს, როდესაც მას უნდა გაუძღვეს მოსწავლე საგაკვეთილო მიზნის მისაღწევად. მოსწავლეებს ამ დროს უვითარდებათ ინფორმაციის მოპოვების, ორგანიზების, კომუნიკაციის, თანამაშრომლობისა და კვლევითი უნარ-ჩვევები.

სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს შორის ადამიანი არის მთავარი, ყველაზე ფასეული, ე.წ. „ცოცხალი წყარო“, რომელიც, ფაქტობრივად, უშრეტია. პირველ რიგში, ადამიანი არის მიმდინარე მოვლენების. თვითმხილველი და მონაწილე. იგი, ასევე, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მატარებელი და ამავდროულად, სხვისგან მიღებული ინფორმაციის გადმომცემია.

ინტერვიუს სახეები:

- **ინტერვიუ თვითმხილველთან**

თუკი რაიმე მნიშვნელოვანი, საგნისთვის საინტერესო მოხდა და მას ჰყავს თვითმხილველები, ამ შემთხვევაში, მიმართავენ ინტერვიუს ამ ფორმას. გეოგრაფიისთვის ეს შეიძლება იყოს, მაგ.: ბუნებრივი კატასტროფის თვითმხილველი. ამ დროს, შეკითხვები, შესაძლოა, დაიწყოს შემდეგი კითხვითი სიტყვებით: რა? სად? როდის? როგორ?. თუკი, თვითმხილველის პასუხებიდან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გვინდა შევქმნათ გარკვეული სურათი, სასურველია, სხვა თვითმხილველებიც მოვიძიოთ და მათაც დავუსვათ ანალოგიური კითხვები.

- **აზრის გამოკითხვა რაიმეს შესახებ**

ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ საინტერესო ხდება მოსახლეობის აზრის შესწავლა. ამ შემთხვევაში, შეკითხვა იწყება „რატომ“ კითხვითი სიტყვით და ვცდილობთ, სრულად გავიგოთ გამოკითხულის აზრი რაიმე ობიექტისა თუ მოვლენის შესახებ.

- **ინტერვიუ - პორტრეტი**

თუკი გინდათ რომელიმე გამორჩენილ ან გამორჩეულ ადამიანზე წარმოდგენის შექმნა, საჭიროა წინასწარ მოიპოვოთ ინფორმაცია რესპონდენტზე, რომ შეხვედრამდე შეიქმნათ მთაბეჭდილება ობიექტზე, შეძლოთ კითხვების მომზადება და გაუგებარი დეტალების დაზუსტება. ასეთი მოსამზადებელი სამუშაო, საბოლოო ჯამში, მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის.

ასევე, ჟურნალისტებს უწევთ პრეს-კონფერენციაზე კითხვების დასმა და ინტერვიუ-კონფრონტაციაზე წასვლა, როდესაც ჟურნალისტი წინასწარი განზრახვით მიდის კონფლიქტზე, თუმცა, ეს უკანასკნელი სასწავლო მიზნით, ალბათ, გამოუსადეგარია.

სასწავლო პროცესში ინტერვიუს ჩართვას თავისი ეტაპები გააჩნია:

1. მოსამზადებელი სამუშაო;
2. კითხვების ჩამოყალიბება;
3. ინტერვიუ;
4. მასალის დამუშავება და ანალიზი;
5. კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება;
6. პრეზენტაცია;
7. შეფასება.

1. მოსამზადებელი სამუშაო

ამ ეტაპზე, მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ინტერვიუს სწორად დაგეგმვაში. რაც უფრო ზედმიწევნით დაიგეგმება სამუშაო, მით უფრო ნაკლები წინაღობები იქნება უშუალოდ მუშაობის პროცესში.

მოსწავლეებს ევალუბათ შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება:

- წინასწარ მოიძიონ მათ მიერ არჩეულ თემაზე (საკითხზე) არსებული მასალა და შეისწავლონ იგი;
- წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია იმ ადგილზე, რომელსაც მიეკუთვნებიან არჩეული რესპონდენტები;
- საჭიროა დადგინდეს თუ რამდენად კომპეტენტურია მოსაუბრე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- სასურველია, მოუსმინონ მსგავსი ტიპის ერთ ან ორ ინტერვიუს;
- წინასწარ დაიგეგმოს ინტერვიუს ადების დრო თუ ადგილი;
- იმისთვის რომ ინტერვიუსთან დაკავშირებული სრული ციკლი წარმატებით დასრულდეს, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად წინასწარ უნდა იფიქროს გამოიყენებს თუ არა დიქტოფონს, თუ რა ფორმით მოხდება ინტერვიუს ჩაწერა;
- დაჭირდება თუ არა მეწყვილე ინტერვიუს ჩატარებისას;
- რა ინფორმაციის ცოდნაა საჭირო თითოეული რესპონდენტის შესახებ. მაგ.: რესპონდენტის დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია, განათლება, საცხოვრებელი ადგილი კონკრეტულ პერიოდში და ა.შ.;
- კითხვების ფორმულირებაზე: ა) კითხვა რესპონდენტს არ უნდა უბიძგებდეს გარკვეული პასუხისკენ ბ) კითხვები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
- როგორ დაიწყოს და დაასრულოს ინტერვიუ.

2. კითხვების ჩამოყალიბება

მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ, მასწავლებელი პროექტში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს ავალუბს, მოიფიქროს ინტერვიუს ორი ან სამი კითხვა. ამის შემდეგ, მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს, რომლის დროსაც უნდა შეჯერდეს მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული საკვლევი კითხვები. თავდაპირველად, ყველა კითხვა აღინუსხება დაფაზე, ხოლო შემდეგ, ხდება ამ კითხვების მიზანშეწონი-ლობის გარკვევა, თუ არის შესაძლებელი მათი უკეთ ფორმულირება, თუ კითხვები მეორდება ამ მიზნის მისაღწევად, მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რატომ

აირჩიეს ესა თუ ის საკვლევ კითხვა და თუ რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას. თითოეული არჩეული საკვლევ კითხვა საფუძვლად უნდა დაედოს ინტერვიუს კითხვარს.

- კითხვების შერჩევა (მათ შორის, ძირითადი, ალტერნატიული, დაუგეგმავ გარემოებაზე გათვლილი) მიმართული უნდა იყოს რესპონდენტის ცოდნის, აზრისა თუ ფაქტების გაგებისკენ;
- ინტერვიუს კითხვათა თანმიმდევრობა მიმართული მარტივიდან რთულისკენ. უმეტეს შემთხვევაში, ინტერვიუს დაწყება უმჯობესია ისეთი მსუბუქი კითხვებით, რომლებიც რესპონდენტს დაძაბულობას მოუხსნის;
- ბოლო შეკითხვა ყველაზე რთულია ან მთავარი;
- სასურველია, კითხვების ორი ვერსიის მომზადება: სრული და შემოკლებული, რომელთა გამოყენება/არ გამოყენების საკითხს სიტუაციიდან გამომდინარე ადგილზე გადაწყვეტთ;
- მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ არ არის უხერხული, თუკი რაიმე ტერმინი ან ცნება არის მისთვის უცნობი და მან თავისუფლად უნდა დასვას დამაზუსტებელი კითხვები.

აკრძალვების ნუსხა

ის, თუ რამდენად კარგადაა მომზადებული კითხვები ინტერვიუს მიზნის რეალიზების საშუალებას იძლევა. თუკი კითხვაში პასუხი იკითხება, ასეთი კითხვა ინტერვიუსთვის უვარგისია.

ასევე დაუშვებელია:

- მტკიცებითი წინადადების კითხვითით შეცვლა;
- ერთ კითხვაში ორის გაერთიანება;
- გადატვირთული კითხვა/აღსაქმელად რთული კითხვები;
- სასურველი პასუხის მიღებისკენ მიმართული კითხვების დასმა;
- საკუთარი შეფასების შემცველი კითხვა;
- საკითხის გაბუქვა თუ გაზვიადება.

3. ინტერვიუ

- ინტერვიუს ადგილზე დროულად მისვლა;
- რესპონდენტის წინასწარ გაფრთხილება თუ რამდენ დროს მოითხოვს ეს ინტერვიუ;
- რესპონდენტთან ზრდილობიანად ქცევა;
- აუცილებელია, რომ თავდაპირველად დამყარდეს პოზიტიური კონტაქტი იმ პირთან, ვისგანაც ინტერვიუ უნდა იყოს აღებული. ასევე, თავდაპირველი კითხვები უნდა იყოს მსუბუქი ხასიათის, რომ მოსაუბრეს გაუქრეს დაძაბულობის გრძნობა;
- რესპონდენტის საუბრის ყურადღებით მოსმენა;
- ინტერვიუს მსვლელობისას საჭიროა მოთმინების გამომჟღავნება. რესპონდენტს არ უნდა შევეკამათოთ ან შევუსწოროთ;
- რესპონდენტებს უნდა დააცადოთ გამოთქვას თავისი აზრი სრულად;
- თუკი პასუხი ვერ მიიღეთ, ერთი-ორი კითხვის შემდეგ, ისევ შეიძლება კითხვის განმეორება, მცირედად შეცვლილი ფორმით;
- თუკი რაიმე გაურკვეველია, სჯობს ადგილზე დამაზუსტებელი კითხვის დასმა, ვიდრე შემდეგ ფაქტების არასწორად ინტერპრეტირება;
- თუ მოსწავლე თვლის, რომ ინტერვიუს მსვლელობა მოითხოვს ისეთი კითხვის დასმას, რომელიც მას არ ჰქონდა დაგეგმილი, უმჯობესია, ეს კითხვა დასვას;
- ასევე კარგია თუ ამის შემდეგ, დასვამთ კითხვას „რამე მნიშვნელოვანი კითხვის დასმა ხომ არ დამავიწყდა?“;

- ინტერვიუს დასრულების შემდეგ, აუცილებლად გადავუნადოთ რესპონდენტს მადლობა და ასევე, შევუთანხმდეთ, საჭიროების შემთხვევაში, დეტალების დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში, მას დაუკავშირდებით.

4. აღებული მასალის დამუშავება და ანალიზი

ინტერვიუს დამუშავებისა და ანალიზის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- რამდენად კარგი იყო რესპონდენტის მენსიერება? შეიძლება თუ არა მიღებული პასუხები სანდოდ მივიჩნიოთ?
- რესპონდენტის მიერ გაეცა თუ არა პასუხი შეკითხვებს?
- საჭიროა თუ არა, გადამოწმდეს რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?
- იყო თუ არა რესპონდენტი აშკარად ტენდენციური, თავის რომელიმე პასუხში?
- რამდენად ღირებულია კონკრეტული ინტერვიუ?

5. კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება

მოსწავლეებმა ნაშრომში უნდა წარმოაჩინონ, თუ რა არის მათი მთავარი მიგნება. ნაშრომს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა: შესავალი - არჩეული თემის მოკლე მიმოხილვა (რატომ არის თემა მნიშვნელოვანი? რატომ დაინტერესდნენ ისინი ამ თემით?); ძირითადი ნაწილი - როგორ და რატომ მივიდნენ მოსწავლეები ამ მიგნებებამდე; საჭიროა დაერთოს კითხვარის რაოდენობრივი ანალიზი; სასურველია მომზადდეს თვალსაჩინოებები; დასკვნა - თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამება.

6. პრეზენტაცია

პრეზენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რა აუდიტორიისთვის მზადდება იგი. მას უნდა დაერთოს მომზადებული თვალსაჩინოებები, ინტერვიუდან საინტერესო პასაჟები, მთავარი მიგნებები.

7. შეფასება

საბოლოო შედეგების შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელშიც ასახულია, როგორც მოსწავლის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, ასევე, კვლევის შედეგად შექმნილი ნაშრომი და მისი პრეზენტაციაც.

მოსწავლეების სამახსოვრო:

- დააინტერესე მოსწავლეები შენი საგნით;
- მოიფიქრე, როგორ ჩაატარო გაკვეთილი უფრო ეფექტურად;
- მოსწავლეებს გააცანი გაკვეთილის მიზანი და დაუსახე კონკრეტული ამოცანა;
- მოემზადე არა მხოლოდ გაკვეთილისთვის, არამედ, მთელი თემის გადმოსაცემად;
- დამოუკიდებელი მუშაობით გაააქტიურე მოსწავლეები;
- ნუ დაივიწყებ თვალსაჩინოებას;
- ჩაატარე თემის შემაჯამებელი გაკვეთილი;
- გულდასმით გააანალიზე თითოეული მოსწავლის ცოდნა, გაარკვიე რა არ იცის და რატომ, მიეცი გამოსასწორებელი დრო და საჭირო მითითებები;
- ჩაატარე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა;
- გაიმეორე გავლილი მასალა;
- ყური უგდე აღმზრდელობითი სწავლების მოთხოვნას;
- თეორიული მასალა დაუკავშირე ცხოვრებას, ცოცხალ, პრაქტიკულ საკითხებს;

- გაითვალისწინე ბავშვის ასაკობრივი განვითარება, მისი ინდივიდუალური თვისებები, შესაძლებლობები, დაიცავი მისაწვდომობის პრინციპი;
- გაკვეთილზე მტკიცედ იხელმძღვანელე სწავლების დიდაქტიკური პრინციპებით. გახსოვდეს, რომ სწავლებაში მთავარია: ა) ცოდნის სისტემატურობა და თანმიმდევრულობა; ბ) შეგნებულობა და აქტიურობა; გ) თვალსაჩინობა; დ) მოსწავლეთა მიერ ცოდნა-ჩვევების მტკიცედ შეთვისება;
- შემოიღე საკუთარი „მეთოდური ყულაბა“, შეიტანე მასში, რაც კი უკეთესი და მოწინავეა შენი თუ სხვა მასწავლებლის გამოცდილებიდან, მუდამ იზრუნე პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფისთვის;
- პროექტი.

სასწავლო პროექტის გეგმა

პროექტის სათაური	„იერუსალიმი სამი რელიგიის წმინდა ქალაქი“
პროექტის მთავარი იდეა	პროექტის იდეა წამოვიდა მოსწავლეებისგან მას შემდეგ, რაც მეშვიდე კლასში გავიარეთ თემა „იუდეა და ისრაელი“. მოსწავლეები დაინტერესდნენ საკითხით, თუ რატომ ითვლება იერუსალიმი სამი რელიგიის ცენტრად, რა სიწმინდეებია განთავსებული ამ ქალაქში, რა კავშირი ჰქონდათ ქართველებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან და რა შეიძლება დახმარებოდათ მათ ამ ქალაქში მოგზაურობის დროს.
პროექტის აქტუალობა	პროექტი აქტუალურია, რადგან მოსწავლეები მწირ ინფორმაციას ფლობენ იერუსალიმის შესახებ და არ იციან, რომ იერუსალიმის ისტორია, ერთდროულად, მთელი მსოფლიოს ისტორიაა და იუდეის პროვინციებს შორის ჩაკარგული ქალაქის მატრიანეც. ოდესღაც, სამყაროს ცენტრად მიჩნეული უძველესი ქალაქი, დღეს აბრამისეული რელიგიების დაპირისპირების ადგილი და ცივილიზაციების შეჯახების სტრატეგიული ბრძოლის ველია. ეს ქალაქი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამიტომ, საჭირო გახდა მოსწავლეები გაცნობოდნენ ამ ქალაქის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და გაეაზრებინათ ის ფაქტი, თუ რატომ არის იერუსალიმი სამი რელიგიის წმინდა ქალაქი და რა კავშირი ჰქონდათ ქართველებს იერუსალიმთან. პროექტი დაეხმარება მოსწავლეებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში და დამოუკიდებელი, ინდივიდუალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.
პროექტის მიზნები	მოსწავლეები გამოიკვლევენ თუ რატომ ითვლება იერუსალიმი სამი რელიგიის ცენტრად. გაეცნობიან როგორ წარმოიშვა ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი და რა საკულტო ნაგებობებია განთავსებული ამ ქალაქში. მოაგროვებენ საჭირო ინფორმაციას იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის შესახებ. იმსჯელებენ, თუ რატომ აღარ ფლობენ მას ქართველები. გამოუმუშავდებთ კვლევის, დროსა და სივრცეში ორიენტირების, ინფორმაციის დახარისხების, ანალიზის, შეფასების უნარი. განსაზღვრავენ გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობას რუკაზე.

<p>საგნებთან/საგნობრივ ჯგუფთან კავში- რი/ესგ-თან კავშირი</p>	<p>ისტორია</p> <p>ისტ.VII. 2. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს სხვადასხვა ქვეყნის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისა და გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა რუკაზე.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> შესაბამისი ეპოქის ისტორიულ რუკაზე შემოხაზავს ცალკეული სახელმწიფოების საზღვრებს და აჩვენებს მათ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებს; <p>ისტ.VII.9. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს რელიგიის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებასა და მსოფლიო ისტორიულ პროცესებში.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> სახელმძღვანელოს, დამატებითი ლიტერატურისა, თუ ვიზუალური მასალის საფუძველზე საუბრობს სხვადასხვა ეპოქის საზოგადოების რელიგიებზე.
--	---

ვიზუალური წყაროს ანალიზი

ეს სტრატეგია ვიზუალური წყაროს ანალიზისთვის და მოსწავლეებში დაკვირვების, ინტერპრეტაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გასავითარებლად გამოიყენება.

პროცედურა:

პირველი ეტაპი:

დაკვირვებით დაათვალიერეთ სურათი და ყურადღებით დააკვირდით ამ სურათზე მოცემულ ფორმებს, ფერებს, სურათის სტრუქტურას, ადამიანებისა და ობიექტების განლაგებას და ა.შ.

მეორე ეტაპი:

აღწერეთ და ჩაიწერეთ, თუ რას ხედავთ სურათზე (რა არის გამოსახული), ოღონდ, საკუთარი ინტერპრეტაციის გარეშე.

ჩანაწერი შეიძლება ასე დაიწყოს:

მე ვხედავ ...

მესამე ეტაპი:

სანამ დაიწყებდეთ სურათზე მსჯელობას, რა შეკითხვები დაგიგროვდათ და რომელ მათგანზე პასუხის გაცემას თვლით აუცილებლად?

ჩანაწერი შეიძლება ასე დაიწყოს:

მინდა ვიცოდე ...

ვინ?

რა?

როგორ?

სად?

როდის?

რატომ?

მეოთხე ეტაპი:

იმსჯელეთ ორ თანაკლასელთან ერთად, რათა პასუხი გასცეთ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს.

მეხუთე ეტაპი:

ისტორიული კონტექსტისა და კონკრეტული ვიზუალური წყაროს მიხედვით, განსაზღვრეთ, თუ რა უნდოდა ეთქვა ავტორს და ვისზე იყო გათვლილი წყარო (ვის მოიაზრებდა ავტორი წყაროს აუდიტორიად).

შეიძლება ასე დაიწყოს:

ჩემი აზრით, ავტორს უნდოდა ეთქვა ...

მე ვფიქრობ, რომ ამ წყაროს აუდიტორია იყო ...

ეს სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ:

ფერწერული ტილოს, ფოტოს, პოლიტიკური კარიკატურის, სააგიტაციო პლაკატის, ვიდეოკლიპისა და სხვა ვიზუალური წყაროს ანალიზისას.

ანბანური გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში ერთ-ერთი საინტერესო სასწავლო სტრატეგიაა, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში. ამ სტრატეგიის დანიშნულებაა დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი იდეები გადაიტანოს ფურცელზე. ამავე დროს, გონებრივი იერიში იდეების გენერირებისკენაა მიმართული. ეს იდეები ანბანის ნებისმიერი ასო-ბგერისგან შეიძლება იწყებოდეს. ამიტომ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული „ანბანური გონებრივი იერიში“ გულისხმობს იდეების დალაგებას ანბანის მიხედვით. ამ სტრატეგიის განხორციელება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში, ასევე, მთელ კლასთან.

პირველი ეტაპი:

შეარჩიეთ ტექსტი ან თემა, რომლის მიხედვითაც გსურთ, რომ მოსწავლეებმა გონებრივი იერიში განახორციელონ. უმჯობესია ისეთი თემების შერჩევა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოების განვითარებაში ან ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოიცავენ. მაგ., მეორე მსოფლიო ომი, აღორძინება, რეფორმაცია, ინდუსტრიალიზაცია, საქართველოს გაერთიანება, საქართველოს გაქრისტიანება და სხვა. გონებრივი იერიში, ასევე, შესაძლებელია გამოვიყენოთ რომელიმე ფილმის, წიგნის, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ანალიზისას.

მეორე ეტაპი:

ანბანური გონებრივი იერიში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სასწავლო ამოცანის გადასაწყვეტად. მასწავლებელი ამ სტრატეგიას მიმართავს მაშინ, როდესაც სურს:

- წინასწარ დაადგინოს, თუ რა იცის აუდიტორიამ განსახილველი თემის შესახებ. ამ შემთხვევაში, ანბანური გონებრივი იერიში გავარჯიშებისა და მოთელვის ხასიათს ატარებს;
- მოსწავლეებმა ხელახლა განიხილონ უკვე შესწავლილი ტექსტი ან თემა. განსაკუთრებით, ტესტირების ან თხზულების დაწერის წინ. ამ შემთხვევაში აქტივობა გამოიყენება განვლილი თემის განმეორებისას;
- მოსწავლეებში ნანახი ფილმის ან წაკითხული ტექსტის ირგვლივ დისკუსიის სტიმულირება;
- გაიგოს, თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს მოსწავლეებმა შესწავლილი თემიდან.

მესამე ეტაპი:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოწერონ ანბანი ფურცლის მარცხენა ქვედა კუთხეში.

მეოთხე ეტაპი:

ანბანური გონებრივი იერიშის განხორციელება - თითოეული აზრი ჩამოწერონ ანბანის რიგის მიხედვით.

ანბანური გონებრივი იერიში სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს მასწავლებელი. ამიტომ, საჭიროა გავითვალისწინოთ ზოგიერთი რამ:

- ორგანიზება - მუშაობენ მოსწავლეები ინდივიდუალურად, წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში თუ მთელი კლასი?
- დრო - ეს სტრატეგია კარგად მუშაობს მაშინ, თუ მოსწავლეებს დავალების შესრულებისთვის ფიქსირებულ დროს გამოვუყოფთ. მთელ კლასთან ან ჯგუფურად მუშაობისას საკმარისია 4-5 წუთი, ხოლო, ინდივიდუალური მუშაობისთვის დრო მეტი უნდა იყოს. (დროის ლიმიტი

დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებული არიან მოსწავლეები და რა სირთულის თემას ან ტექსტს განიხილავენ);

- ანბანური გონებრივი იერიშის მომზადებისას საჭიროა მოსწავლეებმა დაიცვან სიჩუმე და მხოლოდ განხილვის დროს გამართონ დისკუსია;
- დაკვირვება - მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელი უნდა დააკვირდეს: ვინ რამდენი აზრის ჩამოყალიბება მოახერხა და რამდენად შემოქმედებითი და ადეკვატური იყო ეს აზრები.

მეხუთე ეტაპი:

ანბანური გონებრივი იერიშის შედეგები შესანიშნავ მასალას იძლევა როგორც მოსწავლეთა სადისკუსიოდ (თუ მათთან ერთად განვიხილავთ ამ სტრატეგიის შედეგებს), ასევე, მათი შესაძლებლობების გასაანალიზებლად. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მასწავლებელმა შემდეგი კითხვები დასვას: რომელი სა-კითხები ჩაინიშნეს მოსწავლეებმა? რა დასკვნები გამოიტანეს? რა გამორჩათ?

სხვა ვარიანტები:

- შეჯიბრება - მასწავლებელს შეუძლია მოაწყოს შეჯიბრება ჯგუფებს შორის, თუ ვინ უფრო მეტ ფრაზას (ანბანის მიხედვით) ჩამოწერს გარკვეული დროის განმავლობაში;
- ანბანის მხოლოდ ნაწილი - მასწავლებელს შეუძლია ანბანის მხოლოდ ნაწილის მიხედვით ჩამოაწერინოს მოსწავლეებს ფრაზები. მას შეუძლია ანბანი სამ ან ოთხ ნაწილად დაყოს და თითოეულ ჯგუფს გაუნაწილოს;
- ზეპირი გონებრივი იერიში - მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ანბანური რიგის მიხედვით მოსთხოვოს შესაბამისი ფრაზების დასახელება. პირველმა მოსწავლემ ასო-ბგერა „ა“ - თი უნდა დაიწყოს წინადადება, მეორე მოსწავლემ - „ბ“-თი და ა.შ.

„დიდი ფურცელი“

ეს სადისკუსიო სტრატეგია ეხმარება მოსწავლეებს ღრმად შეისწავლონ ისტორიული თემა ან მოვლენა. „დიდი ფურცელი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ნაკლებად მონაწილეობს სიტყვიერ დისკუსიებში და გაკვეთილებზე ნაკლებად აქტიურობს.

ეს სტრატეგია, წერისა და სიჩუმის გამოყენებით, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მშვიდად და ღრმად ჩაწვდნენ განსახილველ მოვლენას. წერილობითი „საუბრის“ მეშვეობით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ყურადღებით გაეცნონ თანაკლასელთა მოსაზრებებს. ამრიგად, ეს მეთოდი ქმნის მოსწავლეთა იმ აზრებისა და შეკითხვების ვიზუალურ დოკუმენტს, რომლებიც შესაძლებელია მომავალშიც იქნას გამოყენებული. სტატეგიას „დიდი ფურცელი“ შეუძლია ჩართოს სასწავლო პროცესში ის მოსწავლეები, რომლებიც სავარაუდოდ არ მიიღებენ მონაწილეობას ვერბალურ დისკუსიაში. ამ მეთოდის რამდენჯერმე გამოყენების შემდეგ, მოსწავლეთა თვითდაჯერებულობა, სწავლის მოტივაცია და სასწავლო უნარები აშკარა პროგრესს განიცდიან.

პირველი ეტაპი:

მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს იმგვარი განსახილველი მასალა, რომელიც მოსწავლეთათვის საინტერესო იქნება. ამ მასალაში იგულისხმება შეკითხვები, ციტატები, ისტორიული დოკუმენტები, ამონარიდები რომანებიდან, ლექსები ან სხვადასხვა სახის მატერიალური ძეგლები (ფერწერული ტილოები, ფოტოები, ქანდაკებები, ბარელიეფები, არქიტექტურის ნიმუშები და სხვა). მოსწავლეთა ჯგუფებს სადისკუსიოდ ერთი და იგივე მასალას ვუნაწილებთ, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, შესაძლებელია განსხვავებული მასალა დავურიგოთ, რომლებიც ერთ ისტორიულ თემას განეკუთვნებიან. სტრატეგია ყველაზე კარგად მუშაობს მაშინ, თუ მოსწავლეები წყვილებში ან ტრიალებში არიან განაწილებულნი. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს კალამი ან

მარკერი, რაც დაკვირვებასა და წერილობით კომუნიკაციას ბევრად აადვილებს. ამასთანავე, ყოველ ჯგუფს უნდა ჰქონდეს საკუთარი დიდი ფურცელი (უმჯობესია, ფლიფჩარტის ფურცელი), რომელზეც დაეტევა როგორც წერილობითი „საუბარი“, ასევე, სხვადასხვა სახის კომენტარი. ფურცლის შუაში იწერება განსახილველი მასალა (თუ ამონაბეჭდია, შესაძლებელია, უბრალოდ, დავაწებოთ ან მოვათავსოთ), რომლის ირგვლივაც უნდა გაიმართოს წერილობითი დისკუსია.

მეორე ეტაპი:

მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს კლასი, რომ აქტივობა წარიმართება სიჩუმეში და ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ წერილობითი დავალებები. მათ შეუძლიათ აქტივობის დამთავრების შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში (მასწავლებლის მიერ მითითებულ დროში), ისაუბრონ. სამუშაო პროცესის დაწყების წინ, მასწავლებელმა კიდევ ერთხელ უნდა გაუმეორეს მოსწავლეებს ინსტრუქციები და დაუსვას შეკითხვა: „ხომ არ აქვს ვინმეს დამატებითი კითხვა?“, რათა აქტივობის განხორციელებისას აღარ გაჩნდეს შეკითხვები და არ დაირღვეს სიჩუმე.

მესამე ეტაპი:

ყოველ ჯგუფს ურიგდება ერთი დიდი ფურცელი, ხოლო, თითოეულ მოსწავლეს კალამი ან მარკერი. ჯგუფები კითხულობენ ტექსტს (ან უყურებენ გამოსახულებას) ჩუმად. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტს, ისინი სვამენ შეკითხვებს და განსახილველ ტექსტს ურთავენ კომენტარებს (ტექსტის ირგვლივ), რომლებსაც დიდ ფურცელზე ათავსებენ. წერილობითი „საუბარი“ უნდა დაიწყოს ტექსტის ირგვლივ, თუმცა, თუ ჩათვლიან საჭიროდ, შესაძლებელია მოსწავლეებმა დროებით გადაუხვიონ თემას. თუ ჯგუფის ერთი მოსწავლე წერს შეკითხვას, მეორე წევრს შეუძლია პასუხი გასცეს ამ შეკითხვას. მოსწავლეებს, ასევე, შეუძლიათ ჯგუფის რომელიმე წევრის შეკითხვას ხაზებით დაუკავშირონ თავიანთი კომენტარები, დიდ ფურცელზე გააკეთონ სხვადასხვა სახის ჩანაწერები, რომელიც თემას ეხება და სხვა. ეს აქტივობა 15 წუთზე ნაკლები არ უნდა გაგრძელდეს.

მეოთხე ეტაპი:

საკუთარ დიდ ფურცელზე მუშაობის შემდეგ, მოსწავლე ტოვებს თავის ჯგუფს და გადადის სხვა ჯგუფში. ის აკვირდება მათ ნამუშევარს და ტოვებს შეკითხვებს, კომენტარებსა და ჩანაწერებს ამ ჯგუფის დიდ ფურცელზე. ამით მოსწავლე ეხმარება მეორე ჯგუფს პრობლემის უკეთ დანახვაში. ასე შეუძლიათ მოსწავლეებს „მოიარონ“ სხვადასხვა ჯგუფები. ამ შემთხვევაშიც, მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მეოთხე ეტაპის ხანგრძლივობა, თემის სირთულისა და მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მეხუთე ეტაპი:

სიჩუმე ირღვევა. მოსწავლეები უბრუნდებიან საკუთარ დიდ ფურცლებს და ყურადღებით ეცნობიან სხვა ჯგუფის წევრთა კომენტარებს, შეკითხვებსა და ჩანაწერებს. იწყება დისკუსია. ახლა ისინი არიან თავისუფლები და შეუძლიათ ხმამაღლა გამოთქვან მოსაზრებები, როგორც საკუთარი ტექსტის (გამოსახულების), ასევე, სხვა ჯგუფების ნამუშევრების, მათ მიერ მიცემული კომენტარებისა და სხვების მიერ დიდ ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერების თაობაზე. ამის შემდეგ, მასწავლებელს შეუძლია გამოარჩიოს ის შეკითხვები და კომენტარები, რომლებიც, მისი აზრით, ორიგინალური და საინტერესოა და დაუსვას მათ ავტორებს შეკითხვები.

მეექვსე ეტაპი:

ბოლოს, შემაჯამებელი საუბარი იწყება მთელ კლასთან. ეს საუბარი შეიძლება დაიწყოს მარტივი შეკითხვით: რა ისწავლეთ მუშაობის პროცესში? ამგვარი გასაუბრება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო ღრმად ჩაწვდნენ განსახილველი წყაროს იდეებსა და არსს, კარგად გაიაზრონ დიდ ფურცლებზე გამოთქმული მოსაზრებები. შესაძლებელია საუბარი შეეხოს ამ სტრატეგიის დად-

ბითსა და უარყოფით მხარეებსაც, კერძოდ, რამდენად რთულია ან კომფორტულია ჩუმი (წერილობითი) დიალოგი.

სხვა ვარიანტები:

- შესაძლებელია ამგვარი სტრატეგია თაბახის ფურცელზეც განვახორციელოთ. ამისთვის საჭიროა ფურცლის ცენტრში განსახილველი ფრაზის, შეკითხვის ან ციტატის დაწერა. ხშირად მასწავლებლები ამგვარ 4 ან 5 ფრაზას წერენ თითოეულ ფურცელზე (ეს ფრაზები ერთ თემას ან მოვლენას უნდა გამოხატავდნენ) და ამ ფურცლებს ჯგუფებს ურიგებენ. ჯგუფში ერთი მოსწავლე იწყებს ამ ფრაზის კომენტირებას, შემდეგ გადააწვდის მარცხნივ ან მარჯვნივ ჯგუფის სხვა წევრს. ასე გრძელდება მანამ, სანამ ფურცელი არ შემოივლის მთელ ჯგუფს;
- შესაძლებელია თითოეულ ფურცელზე რამდენიმე ფრაზა ჩამოიწეროს და ყველა ჯგუფს ერთი და იგივე შინაარსის ფრაზა, შეკითხვა ან ციტატა დაურიგდეს. ამგვარი აქტივობის შემთხვევაში, სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები უცვლიან ერთმანეთს საკუთარ ნამუშევრებს. ასე ტრიალებს ფურცლები ჯგუფებს შორის იქამდე, სანამ ყველა ჯგუფი არ გაეცნობა სხვათა ნამუშევრებს. ამის შემდეგ იმართება დისკუსია.

ისტორიული ესეს ორგანიზების ცხრილი
შესავალი (პარაგრაფი 1)
(შესავალში მოსწავლემ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად ესმის თემა; რა არის ესეს შეკითხვა - საკამათო საკითხის არსი და რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა); რა იქნება მოსწავლის მიზანი ამ ესეში.
არგუმენტი 1
(თეზისის გასამყარებლად) პარაგრაფი 2
თეზისი (მაგალითად, მეფის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები საშინაო საქმეებში პირველი წარმატებების გარანტია იყო. ფაქტები და მსჯელობები; (ისტორიკოსთა აზრები, თუ ეს შესაძლებელია. კარგი და ეფექტურია არგუმენტის გასამყარებლად მოსწავლემ ისტორიკოსთა შეხედულებები გამოიყენოს) და დანასკვი, ანუ მინი-დასკვნა, შეჯამება - რისი თქმა სურდა მოსწავლეს ამ არგუმენტით?
არგუმენტი 2
(თეზისის გასამყარებლად) პარაგრაფი 3
არგუმენტი 3
(თეზისის საწინააღმდეგოდ) პარაგრაფი 4
არგუმენტი 4
(თეზისის საწინააღმდეგოდ) პარაგრაფი 5
დასკვნა
(უნდა იყოს დაბალანსებული და არ უნდა დომინირებდეს ერთი მკვეთრი პოზიცია; უნდა იყოს წარმოდგენილი რამდენიმე ან ორივე ვერსია; უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ თემიდან. ახალი ფაქტების შემოტანა დასკვნაში მიუღებელია. პარაგრაფი 6

ესეს შეფასების კრიტერიუმი

0:	დავალეა არ არის შესრულებული ან არ შეესაბამება/არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და არ შეფასდება არც ერთი ქულით.
1-3:	ნამუშევარი არ პასუხობს კითხვაში დასმულ მთავარ მოთხოვნებს. მოსწავლეს აქვს მწირი ცოდნა. ნამუშევარი ბუნდოვანი და გაუგებარია. მოსწავლე არა მხოლოდ ვერ ავლენს ცოდნას, თუ ვინ არის გფრ-ის ლიდერი (და რას ნიშნავს გფრ), არამედ, ვერ იაზრებს დავალებას.
4-5:	არის კითხვის გაგების მცირე მცდელობა. ისტორიული დეტალები მოცემულია, მაგალითად, მოსწავლე საუბრობს გერმანიის მიერ ორივე მსოფლიო ომის დაწყებაზე, საუბრობს ჰიტლერსა და ტოტალიტარული სახელმწიფოების ლიდერებზე, საუბრობს ცივ ომზე, თუმცა, ზოგადად. გარდა იმისა, რომ მისი ცოდნა მხოლოდ ზედაპირ-

	რულია, ამავე დროს, ბუნდოვანია და არ არის ნაჩვენები კავშირი ამ მაგალითებს შორის. ისტორიული კონტექსტი ბუნდოვანი და გაუგებარია; კითხვაზე მინიმალური აქცენტია გაკეთებული.
6-7:	პასუხში ჩანს მოსწავლის გარკვეული ისტორიული, თუმცა, შეზღუდული, ცოდნა. ისტორიული კონტექსტი, შესაძლოა, დაცული და გასაგებია, თუმცა, ისტორიული პროცესი ნამუშევარში ნაკლებადაა ნაჩვენები, აკლია მსჯელობა. პასუხი მხოლოდ ნაწილობრივია გაცემული. მაგალითად, მოსწავლე საუბრობს გერმანიის მიერ ომების დაწყების, ცივი ომის შესახებ, ცივ ომში გერმანიის მნიშვნელობაზე, გერმანიის მიმართ ევროპისა და ამერიკის დამოკიდებულებაზე, დასავლეთის მიმართ საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაზე, თუმცა, ეს ცოდნა მწირი და არა სიღრმისეულია. მოსწავლე, ძირითადად, უპირატესობას ანიჭებს თხრობას - რა მოხდა, და არა მოვლენას - რატომ მოხდა. ამასთან, გარდა ნარატიული ხასიათის პასუხისა, კითხვას არ აქვს გაცემული ამომწურავი და კრიტიკული პასუხი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლემ კითხვას მხოლოდ მოკლე პასუხი გასცა (მაგალითად, იზიარებს ან არ იზიარებს, და არ განიხილავს საკითხს ორივე კუთხით).
8-9:	ესეში დასმული კითხვა მოსწავლის მიერ მეტწილად გაგებული და გააზრებულია. ჩანს ისტორიული ცოდნა, მაგრამ ის არ არის სიღრმისეულად გააზრებული. ცოდნა უფრო ნარატიულია, ვიდრე ანალიტიკური (უფრო თხრობითი ფორმა აქვს, ვიდრე არგუმენტირებული). წარმოდგენილია ლიმიტირებული რაოდენობის არგუმენტი; ზოგიერთი არგუმენტი ბუნდოვანია და არ არის გაშლილი. ნაწილობრივ თან ახლავს კრიტიკული კომენტარები. არის მცდელობა, რომ მოსწავლემ ისტორიულ კონტექსტში წარმოადგინოს მოვლენები და აჩვენოს ისტორიული პროცესის გაგება-ანალიზი. ნამუშევარი სტრუქტურული და თემატური თანმიმდევრობითაა დაწერილი.
10-12:	პასუხი ხაზს უსვამს, რომ კითხვა ძირითადად გაგებულია, თუმცა, ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. ცოდნა საკმაოდ მყარია. თემას კრიტიკული კომენტარები, შესაძლოა, თან ახლდეს. მოვლენები წარმოდგენილია კონტექსტში, გაგებულია ისტორიული პროცესი, გააზრებულია მსგავსებები და განსხვავებები სხვა ფაქტებთან; განხილულია მოვლენებისადმი სხვადასხვა მიდგომა და ინტერპრეტაცია, თუმცა ის არ ეყრდნობა ისტორიულ ცოდნას და ზოგადია. სტრუქტურა დაცულია და ნამუშევარი კარგად გასაგებია.
13-15:	მთავარ კითხვაზე პასუხი გაცემულია დამაკმაყოფილებლად. მაგალითებში ჩანს სპეციფიკური ცოდნა ანუ მოსწავლე არ კმაყოფილდება ზოგადი ფაქტების ჩამონათვალით, არამედ, აკონკრეტებს ფაქტებს და გამოაქვს დასკვნები. მოსწავლის არგუმენტაციას ამყარებს ანალიზი. მოვლენები განხილულია ერთ კონტექსტში. ისტორიული პროცესები კარგადაა გააზრებული. მოცემულია მოვლენების მსგავს მოვლენებთან შედარებითი ანალიზი. ნამუშევარში, შესაძლოა, მოცემული იყოს სხვადასხვა კრიტიკული აზრის განვითარებაც; წარმოდგენილია არგუმენტაცია.
16-20:	კითხვა ზუსტად არის გაგებული. სრულად და სიღრმისეულადაა გააზრებული კითხვაში დასმული მოთხოვნა. გამოყენებულია დეტალური სპეციფიკური ცოდნა. ამ ცოდნით გამყარებულია არგუმენტები. კარგად არის გადმოცემული ისტორიული პროცესი - მსგავსებები და განსხვავებები, მოვლენები კონტექსტუალურად არის განხილული, წარმოდგენილია ისტორიკოსების კრიტიკული შეფასებები. ნამუშევარი ეფექტურია.